

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

ჟინგალჭესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია – ფაზა 8



ავტორი

თ. პიტაგა

გ. ჯაგანიშვილი

შპს გრუნერ შტუკი კავკასია
ID 205258237

აფაქიძის ქ. №11, VII სართული

თბილისი, საქართველო, 0160

ტელ: +995 322 250601

www.gruner.ch

დოკუმენტი №

E2402541.000 / 4001

თარიღი

18 თებერვალი 2025

საკონტროლო ფურცელი

ავტორი	თ. პიტავა გ. ჯავახიშვილი	ფუნქცია	პროექტის ინჟინერი პროექტის ინჟინერი
შემოწმა	გრიგოლ მაჭარაძე	ფუნქცია	პროექტის მენეჯერი
დამოწმა	სებასტიენ მიშელუ	ფუნქცია	პროექტის კოორდინატორი

შესწორებები

უკანასკნელი ვერსია ჩაანაცვლებს ყველა არსებულ ადრინდელ ვერსიას.

ვერსია	შესწორება	თარიღი	მომზადდა / შეიცვალა
-	პირველი გამოცემა	18.02.2025	თ. პიტავა გ. ჯავახიშვილი

შინაარსი

ნაწილი 1: ტექნიკური ანგარიში

ნაწილი 2: სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები

ნაწილი 3: კონტრაქტორის კვალიფიკაცია

ნაწილი 1: ტექნიკური ანგარიში

შინაარსი

	გვერდი
1 შესავალი	1
2 პროექტის მიმოხილვა	2
2.1 ზოგადი მონაცემები	2
3 გამოყენებული დოკუმენტაცია	3
4 რეაბილიტაციის პროექტის მიზნები	4
5 გეოლოგია	5
5.1 არსებული მონაცემები	5
6 გვირაბის ინსპექტირება 2024 წელს	9
6.1 გვირაბის ინსპექტირების მიზნები	9
6.2 ზოგადი მიმოხილვა	9
6.3 გვირაბის კვლევები, ინსპექტირება და აღმოჩენილი დაზიანებების ტიპები	10
6.3.1 დაზიანების ტიპები	10
6.3.2 გვირაბის ფსკერის დაზიანებები	12
6.3.2.1 დიდი ზომის დაზიანება (შეტბორილი უბნები)	12
6.3.2.2 მცირე ზომის დეფექტები (ეროზირებული უბნები)	13
6.3.3 გვირაბის მოსახვის ეროზია (ნიჟარები და სიცარიედეები) კედლებზე	14
6.3.4 დაზიანებები გვირაბის თაღში	16
6.3.5 ბზარები ბეტონის მოსახვაზე	17
6.3.6 წყლის შემოდინება	19
6.3.7 გვირაბის მოსახვაში და ძირზე დარჩენილი უცხო სხეულები	20
7 რეაბილიტაციის კონცეფცია	21
7.1 ზოგადი მიმოხილვა	21
7.2 გვირაბის დაზიანებული მოსახვის დროებითი გამაგრება	23
7.2.1 პკ. 43+58 – 43+72 და პკ. 60+75 – 61+00 მონაკვეთზე დაზიანებული კვეთის დროებითი გამაგრება	23
7.2.2 ზოგადი	25
7.3 გვირაბის ფსკერის რეაბილიტაცია	27
7.4 წყლის შემოდინების აღმოფხვრა პოლიურეთანის ფისით	27
7.4.1 სწრაფად გამყარებადი პოლიურეთანის ფისის ინექციები	28
7.5 ბეტონის ეროზირებული მოსახვის შეკეთება და სიცარიედეების შევსება მოსახვის უკან	30
7.5.1 ზოგადი რეკომენდაციები	32
7.5.2 10სმ-ზე ნაკლები სიღრმის ეროზირებული ზედაპირის რეაბილიტაცია	32
7.5.3 10სმ-ზე მეტი სისქის ეროზირებული ზედაპირის რეაბილიტაცია	34
7.6 ბზარების დამუშავება	36
7.7 კვლევითი სამუშაოები	37
7.7.1 გეოტექნიკური კვლევები	37
7.7.2 გვირაბის პიკეტაჟის განახლება	38
8 წარმოსადგენი დოკუმენტაცია	39

9	სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობები და გრაფიკი	39
9.1	სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარგთადრიცხვა	39
9.2	სამუშაოების წარმოების ვადები	44

დანართების სია

დანართი № 1: დეფექტების აღწერა

დანართი № 2: ნახაზები

ნახაზების სია	გვერდი
ნახაზი 5-1: საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემა	5
ნახაზი 5-2: საპროექტო ტერიტორიის რეგიონული გეოლოგია	5
ნახაზი 5-3: ვერტიკალური შახტა №1 და №2 შორის უბნის გეოლოგიური ჭრილი	7
ნახაზი 6-1: გვირაბის ინსპექტირების დროს გამოვლენილი დაზიანებების მდგომარეობა	11
ნახაზი 7-1: გვირაბის დაზიანებული კვეთის დროებითი გამაგრების სქემა (ნახაზი E2402541.TT.004 და E2402541.TT.005)	26
ნახაზი 7-2: ვარცდლისებური კვეთის გვირაბის ძირზე არმირებული ფილის მოწყობა (ნახაზი E2402541.TT.006)	27
ნახაზი 7-3: ჭაბურღილების განლაგება პკ 43+50, 43+55, 43+60, 43+70, 43+75, 43+80, 60+70, 60+75, 61+00, 61+05, 61+10, 61+15, 61+20.	38
ნახაზი 7-4: ჭაბურღილების განლაგება პკ 43+64, 60+80, 60+90, 60+95.	38

ცხრილების სია	გვერდი
ცხრილი 5-1: არგილიტების ლაბორატორიული კვლევის საშუალო შედეგები	6
ცხრილი 5-2: ქვიშაქვების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	6
ცხრილი 5-3: ქანების მასივის კლასიფიკაცია	8
ცხრილი 7-1: დროებითი გამაგრების უბნების ადგილმდებარეობა	26
ცხრილი 7-1: პოლიურეთანის ფისის რეაქციის მონაცემები	29
ცხრილი 7-2: პოლიურეთანის ფისის მასალის მონაცემები	29
ცხრილი 7-3: პოლიურეთანის ფისის მექანიკური მონაცემები	29
ცხრილი 7-4: წყლის შემოღინების ადგილმდებარეობა და რაოდენობა	30
ცხრილი 7-5: დაზიანებული მოსახვის მდებარეობა	35
ცხრილი 7-6: ბზარების მდებარეობა საპროექტო უბანზე	37
ცხრილი 9-1: სამუშაოათა ჩამონათვალი და რაოდენობები	44

სურათების სია

გვერდი

ფოტო 5-1: ქვიშაქვები ფიქლების შუაშრეებით	8
ფოტო 6-1: წყლის დონე გვირაბში მერყეობს 0.4 მ-დან 1.5 მ-მდე დაცლილ მდგომარეობაში (პკ 24+65 მარცხენა ფოტო; პკ 32+00 მარჯვენა ფოტო)	13
ფოტო 6-2: გვირაბში არსებული ეროზირებული უბნები: ღრმად ეროზირებული მონაკვეთი, პკ 47+15 (30 სმ-მდე)	16
ფოტო 6-3: გვირაბის თაღში არსებული სიცარიედეები: პკ 53+90 მარცხენივ, პკ 55+65 მარჯვნივ	17
ფოტო 6-4: გვირაბის მოსახეზე არსებული ბზარი (პკ 57+45 მარცხენივ და პკ 60+44 მარჯვნივ)	18
ფოტო 6-5: ბზარი გვირაბის მოსახვის თაღზე, პკ 24+50	19
ფოტო 6-6: ბზარი გვირაბის მოსახვის კედელზე, პკ 25+10	19
ფოტო 6-7: წყლის შემოდინება გვირაბის მოსახვიდან (პკ 60+40÷60+55, პკ 60+80÷60+95)	20
ფოტო 6-8: სამშენებლო ნარჩენები (მიღები), პკ 34+80÷35+00	21
ფოტო 7-1: წყლის შემოდინება თალიდან პკ 43+58 ÷ 43+72	24
ფოტო 7-2: წყლის შემოდინება კედლიდან, პკ 60+75 ÷ 61+00	24
ფოტო 7-3: კომპონენტი A, კომპონენტი B და ტუმბო	29
ფოტო 7-4: კედლის ეროზია არმატურის გაშიშვლებით	30
ფოტო 7-5: კედლის ეროზია (სიღრმე 5-10 სმ)	30
ფოტო 7-6: დიდი ზომის ეროზია კედელზე	31
ფოტო 7-7: სიცარიელე გვირაბის თაღში	31

დიაგრამების სია

გვერდი

დიაგრამა 6-1: გვირაბის პკ 00+40 85+00 მონაკვეთზე ძირის დაზიანებული უბნების ინტენსივობა.	14
დიაგრამა 6-2: გვირაბის პკ 00+40 85+00 მონაკვეთზე ეროზირებული უბნების ინტენსივობა გვირაბის კედლებზე	15
დიაგრამა 6-3: თაღში არსებული დაზიანებების ინტენსივობა პკ 00+40÷79+00 მონაკვეთზე	17
დიაგრამა 6-4: ბზარების ინტენსივობა გვირაბის პკ 0+00÷60+00 მონაკვეთზე	18
დიაგრამა 6-5: წყლის შემოდინების ინტენსივობა გვირაბში.	20

1 შესავალი

ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძი ექსპლუატაციაში შევიდა 1985 წელს. მის შემადგენლობაში შედის 102.0 მ სიმაღლის ქვანაყარი კაშხალი, სიღრმული წყალმიღები, ზედაპირული და სიღრმული წყალსაგდებები, მიწისქვეშა ჰესის შენობა, გამყვანი გვირაბი სიგრძით 8.8 კმ, საბუფერო აუზი, თბილისის წყალმომარაგების წყალგამტარი სიგრძით 36.7 კმ, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისისთვის სასმელი წყლის მიწოდებას.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ის მიერ გასულ წლებში განხორციელდა გამყვანი გვირაბის ზოგიერთი მონაკვეთის სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოები და კვლავ იგეგმება სხვა მონაკვეთების რეაბილიტაცია, რომლის მიზანია გვირაბის საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესება და მისი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება.

2014 წელს, ჟინვალჰესის გამყვან გვირაბში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების და გამყვანი გვირაბის კვლევების შედეგების გათვალისწინებით, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-მა დაგეგმა ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის და გამტარუნარიანობის გაზრდისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალეტაპიანი პროგრამის განხორციელება.

მრავალეტაპიანი რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება განპირობებულია ჟინვალის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის საექსპლუატაციო შეზღუდვების გამო (გამყვანი გვირაბის დაცლა შესაძლებელია წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოკლე პერიოდით, დაახლოებით ერთი თვე), რაც არ იძლევა გრძელვადიანი და ფართო მასშტაბიანი სამუშაოების შესრულების საშუალებას.

აღნიშნული პროგრამის საფუძველზე 2015 წელს გვირაბში განხორციელდა კვლევითი სამუშაოები, ხოლო შემდგომში 2016, 2017, 2018, 2019, 2020 და 2024 წლებში რეაბილიტაციის ფაზა 2 - ფაზა 7-ის სამუშაოები. 2016 წლის დეკემბერში, 2018 წლის თებერვალში და დეკემბერში, 2019 წლის თებერვალში და სექტემბერში, 2020 წლის თებერვალში და 2021 წლის ივლისში, 2023 დეკემბერში და 2024 ივნისში განხორციელდა გვირაბის ინსპექტირება. 2022 წელს დამკვეთის მიერ განხორციელდა ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის კვლევითი სამუშაოები, კერძოდ გეოფიზიკური კვლევები და ლაზერული სკანირება გვირაბის მთელ სიგრძეზე.

2025 წელს, სავარაუდოდ მაისი-ივნისის პერიოდში (30 კალენდარული დღე) დამკვეთის მიერ დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროგრამის მიზანია წინა პერიოდში კვლევების და 2019-2024 წლებში ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი, გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთზე დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია მისი მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციას ტენდერში მონაწილეებისათვის, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან:

- 1) ნაწილი I – ტექნიკური ანგარიში და ნახაზები;
- 2) ნაწილი II – სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები;
- 3) ნაწილი III – მონაწილის გამოცდილება;

რეკომენდირებულია, რომ ტენდერში მონაწილე დეტალურად გაეცნოს ყველა დოკუმენტს წინადადების მოსამზადებლად.

2 პროექტის მიმოხილვა

პროექტის ძირითადი მონაცემები მოპოვებული იქნა გრუნერ-შტუკისათვის გადაცემული, საპროექტო და საშემსრულებლო დოკუმენტების საშუალებით, აგრეთვე ობიექტზე ვიზიტისას ტექნიკურ პერსონალთან და ინჟინრებთან ჩატარებული განხილვებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2.1 ზოგადი მონაცემები

სქემის მდებარეობა	მდ. არაგვი, თბილისიდან ჩრდილოეთით დაახლ. 60 კმ დაშორებით
მშენებლობის პერიოდი	1970-85
წყალსაცავის მოცულობა	520 ს 10 ⁶ მ ³
წყალს. სასარგებლო მოცულობა	370 ს 10 ⁶ მ ³
წლიური გამომუშავება	485 ს 10 ⁶ კვტსთ
კაშხლის ტიპი	მიწის კაშხალი ცენტრალური თიხის გულით
თხემის სიგრძე	415 მ
თხემის ნიშნული	813.5 მ ზ.დ.
წყალსაცავის ნშდ	810 მ ზ.დ.
წყალსაცავის მინ. საექსპ. დონე	770 მ ზ.დ.
სადირკელის ნიშნული	დაახლ. 710 მ ზ.დ.
კაშხლის სიმაღლე	დაახლ. 103 მ ზ.დ.
სადირკელის გეოლოგია	ქვიშაქვა, კირქვა, მერგელები, კონგლომერატები
სამშენებლო გვირაბი	ორი გვირაბი მარცხენა ნაპირზე (შიდა დიამეტრები 5.6-6.1 და 8.0 მ)
წყალსაგდები სისტემა	მარცხენა ნაპირი, თავისუფალი გადაღინებით, უსაკეტებო, სწრაფდენით და ტრამპლინით. თხემის ნიშნულია 810 მ.
სიღრმული წყალსაგდები	მარცხენა ნაპირი, ერთ-ერთი სამშენებლო გვირაბი (დიამ. 8.0 მ) გადაკეთებულია სიღრმულ წყალსაგდებად.
წყალმიმღები	მარცხენა ნაპირი
ენერგეტიკული გვირაბი	ერთ-ერთი სამშენებლო გვირაბი (დიამ. 5.6-6.1 მ) გადაკეთებულია მიმყვან გვირაბად (სიგრძე 628 მ)
ჰესის შენობა	მიწისქვეშა შენობა, მდებარეობს კაშხლის ქუსლიდან 100 მ მოშორებით ქვედა ბიეფში, მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 80 მ სიღრმეზე. ჰესის შენობაში დამონტაჟებულია 4 ფრენისის ტურბინა თითოეული 32.5 მვტ სიმძლავრით. ჰესის სრული სიმძლავრეა 130 მვტ. საექსპლუატაციო ხარჯია 4x30 მ ³ /წმ.
გამყვანი გვირაბი	5.2მ დიამეტრის და 8.8კმ სიგრძის უდაწნეო გვირაბი, საპროექტო ხარჯით 120 მ ³ /წ.

3 გამოყენებული დოკუმენტაცია

ქვემოთ წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელთა ნაწილი მოწოდებული იქნა დამკვეთის მიერ, ნაწილი კი მომზადებული იყო გრუნერი შტუკის მიერ გასულ პერიოდში შესრულებული კვლევების და ინსპექტირების საფუძველზე. ეს დოკუმენტები გამოყენებული იქნა გვირაბში არსებული სიტუაციის შესაფასებლად, სარეაბილიტაციო მონაკვეთების პრიორიტეტებისა და სამუშაოთა სახეობების განსაზღვრისათვის.

- 1) გვირაბის სარეაბილიტაციო მონაკვეთები – “ჰიდროპროექტი“-ს მიერ 2006 წელს მომზადებული პროექტი;
- 2) საკონსულტაციო კომპანია „ბერნარდ ენჟინერიე“-ს მიერ 2012 წელს მომზადებული ანგარიში;
- 3) 2014 წელს ჩატარებული სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების მონაცემები და საშემსრულებლო დოკუმენტაცია;
- 4) 2014 წელს ჩატარებული, გვირაბის მთელ სიგრძეზე ინსპექტირების მონაცემები და აზომვითი ნახაზები;
- 5) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაციის პროექტი. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასკვნითი ანგარიში“. 27 აგვისტო 2014 წ.;
- 6) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია (II ეტაპი), სამშენებლო ანალიზი და ბეტონის მოსახვის დაპროექტება“. 2015 წ. 2 აპრილი;
- 7) Eureka s.r.l., „ჟინვალის ჰიდროტექნიკური გვირაბის გამოკვლევა გეოელექტრული ტომოგრაფიის, ულტრაბგერითი და გეორადარული მეთოდების გამოყენებით“. 2015 წ. 10 ივლისი;
- 8) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, სატენდერო დოკუმენტი“. 2015 წ. 21 დეკემბერი;
- 9) Eureka s.r.l., „ჟინვალის ჰიდროტექნიკური გვირაბის გამოკვლევა გეოელექტრული ტომოგრაფიით, ულტრაბგერითი გაზომვებითა და გეორადარით“. 2016 წ. 30 ივნისი;
- 10) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია ფაზა 2, სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა“. 2016 წ. 3 ნოემბერი;
- 11) შპს „შტუკი“, 2016 წელს ჩატარებული, გვირაბის ინსპექტირების მონაცემები და აზომვითი ნახაზები;
- 12) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 3, სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა“. 2017 წ. დეკემბერი;
- 13) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 4, სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა“. 2018 წ. ნოემბერი;
- 14) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 5, სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა“. 2019 წ. ნოემბერი;
- 15) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 6, სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა“. 2020 წ. დეკემბერი;
- 16) შპს „შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის ინსპექტირება“. 2021 წ. ივლისი;
- 17) Geofisica consultores, ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის გამოკვლევა გეორადარული მეთოდით (gpr) და ზედაპირული ტალღების პროფილების მრავალარხიანი ანალიზი (masw). 4 ოქტომბერი 2022, მადრიდი;

- 18) Eurekos s.r.l., ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის ღაზერული გადაღება, 2022 წ. ივლისი.
- 19) შპს „გრუნერ შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 7, სატენდერო დოკუმენტაცია“. 2024 წ. თებერვალი.
- 20) შპს „გრუნერ შტუკი“, „ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია, ფაზა 7, სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა, დასკვნითი ანგარიში“. 2024 წ. ნოემბერი.

4 რეაბილიტაციის პროექტის მიზნები

გვირაბის რეაბილიტაციის პროექტის მიზანია, არსებული კვლევების და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი გვირაბის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის პრიორიტეტების დადგენა და კონცეპტუალური პროექტის მომზადება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მდგრადობა და სტაბილური ექსპლუატაცია.

გასულ პერიოდში ჩატარებული კვლევების და გვირაბის ბოლო ინსპექტირების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარკვეულ მონაკვეთებზე გვირაბი ხასიათდება მოსახვის დაბალი ხარისხით, ბეტონის მოსახვაზე ვლინდება ეროზიები, ბზარები და სხვა სახის დაზიანებები, ადგილი აქვს მიწისქვეშა წყლების ფილტრაციას. .

გასულ პერიოდში ჩატარებულმა ბეტონის მოსახვის ნიმუშების ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა ბეტონის დაბალი სიმტკიცე გვირაბის თითქმის მთელ სიგრძეზე. გეოფიზიკურმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გვირაბის გარემომცველი ქანების ხარისხი ძალიან დაბალია.

აღნიშნულის გათვალისწინებით არსებითად მნიშვნელოვანია არსებული დაზიანებების დაუყონებლივ აღმოფხვრა გვირაბის მოსახვის ხარისხის შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, დაუზიანებელი მუდმივი მოსახვის შენარჩუნება გვირაბის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია გვირაბის მოსახვაზე ხშირი დაკვირვებებისა და სისტემატიური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ საექსპლუატაციო შეზღუდვების გამო (გვირაბის გაჩერება სარემონტოდ შესაძლებელია მხოლოდ 30 კალენდარული დღის განმავლობაში წელიწადში ერთხელ, მძიმე ტექნიკის მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ერთი შესასვლელი პორტალიდან) დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების მასშტაბი საკმაოდ შეზღუდულია და მხოლოდ გვირაბის ცალკეული უბნებზე ლოკალური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, არსებული შეზღუდვების გამო, შეუძლებელია სრულყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება გვირაბის მთელ სიგრძეზე ერთიანად და ამიტომ სამუშაოები ხორციელდება ეტაპობრივად რამდენიმე წლის განმავლობაში.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- გვირაბის მოსახვის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა;
- სარეაბილიტაციო კონცეფციის აღწერა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.


აღნიშნულ ანგარიშში მოცემული სამუშაოთა მოცულობები არის მიახლოებითი, ეფუძნება წინასწარი შეფასების მონაცემებს და განკუთვნილია ტენდერში მონაწილეებისათვის საკუთარი ფასების წარმოსადგენად. თუ სამუშაოთა განხორციელებისას გამოვლინდა განსხვავებული კონსტრუქციული და გეოტექნიკური მახასიათებლები, ვიდრე პროექტში იყო გათვალისწინებული პროექტი შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს.

5 გეოლოგია


გასულ პერიოდში, ასევე 2016 წელს გრუნერი შტუკის მიერ ჩატარებული გეოლოგიური კვლევების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე ტექნიკური ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე არაგვის გასწვრივ, კავკასიონის ნაოჭა სისტემების მესტია-თიანეთის ზონასა და ამიერკავკასიის მთათაშუეთის დაპირვის აღმოსავლეთ ზონის ქართლის მოლასურ ქვეზონაში (ნახაზი 5-1). იგი წარმოდგენილია პალეოგენური ფორმაციებით, რომლებიც ზემოდან დაფარულია ელუვიურ-დელუვიური ნალექებით.

საქართველოში მოქმედი კლასიფიკაციით (ნახაზი 5-2) საპროექტო ტერიტორიისთვის დამახასიათებელია შემდეგი წარმონაქმნები: ელუვიურ-დელუვიური ნალექები - თიხნარი და თიხები ღორღის, ხრეშის და ნაწილობრივ ბლოკების ჩანართებით; ქვედა და შუა სარმატული (N_1S_{1+2}) - თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები, მერგელები; ოლიგოცენური - ქვედა მიოცენური; ($E_3+N_1^1$) - ქვიშაქვები, გრაველიტები; ზედა ეოცენური-ოლიგოცენური ($E_3+E_2^3$) - კონგლომერატები, ქვიშაქვები, ალევროლიტები.



ნახაზი 5-1: საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემა¹



ნახაზი 5-2: საპროექტო ტერიტორიის რეგიონული გეოლოგია

5.1 არსებული მონაცემები

- დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ქანების გეოტექნიკური პარამეტრების შესახებ არის ძალიან შეზღუდული. დღემდე წარმოდგენილია მხოლოდ გეოლუვიური ჭრილი ვერტიკალურ შახტა №1 და №2 შორის მონაკვეთისათვის, ქანების ტიპების აღწერით, მაგრამ ძირითადი გეოტექნიკური მონაცემები და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები არ არის ხელმისაწვდომი (ნახაზი 5-3). არსებული მონაცემების მიხედვით, გვირაბის გარშემო ქანები/გრუნტები აღწერილია შემდეგნაირად:

- პკ 0+00÷4+50, ბრექჩიები კირქვის ცემენტზე;
- პკ 4+50÷23+00, შავი თიხა ფიქლები, წვრილშრეებრივი ქვიშაგების შუაშრეებით;

¹ საქართველოს ეროვნული ატლასი, ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ვ. ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2012

- პკ 23+00÷81+00, საშუალო და წვრილი კენჭების კონგლომერატები, თიხა-თიხნარის ცემენტზე, თიხის და ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით;
 - პკ 81+00 გვირაბის ბოლომდე – თიხნარი, ლოდების და ხრეშის ჩანართებით.
- 2014 წელს, გამყვანი გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებამდე, ბეტონის მოსახვის სისქის გამოკვლევისა და მოსახვის უკან ქანების მასივის ხარისხის შეფასების მიზნით სარეაბილიტაციო მონაკვეთის გასწვრივ გაიბურღა საძიებო ჭაბურღილები. ჭაბურღილებიდან ამოღებულ იქნა კერნები და ჩატარდა მათი გეომექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევა. ამ კვლევების მიხედვით ქანები წარმოდგენილია არგილიტებითა და ქვიშაქვებით, ხასიათდებიან როგორც სუსტი და ძლიერ გამოფიტული. ცხრილში 5-1 და ცხრილში 5-2 მოცემულია შერჩეული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგები.


ტენიანობა	სიმკვრივე		გაჯირჯება	წყალშთანთქმა	ხახუნის კუთხე (ბზარზე)	შეუიღწელობა (ბზარზე)	სიმტკიცე ერთეულები კუმშვაზე	
	მოცულობითი	ბუნებრივი					R _c	ბუნებრივ მდგომარეობაში
[%]	[გ/სმ³]	[გ/სმ³]	[-]	[%]	[°]	[მპა]	[მპა]	[მპა]
8	2.44	2.26	0.088	8.1	24.7	0.09	7.55	4.49

ცხრილი 5-1: არგილიტების ლაბორატორიული კვლევის საშუალო შედეგები

სიმკვრივე		წყალშთანთქმა	სიმტკიცე ერთეულები კუმშვაზე	
მოცულობითი	ბუნებრივი		R _c	ბუნებრივ მდგომარეობაში
[გ/სმ³]	[გ/სმ³]	[%]	[მპა]	[მპა]
2.69	2.63	5.4	7.55	-

ცხრილი 5-2: ქვიშაქვების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

- 2016 წელს ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბში ქანების მასივის გეომექანიკური კლასიფიკაცია გაკეთდა იმ მონაკვეთებზე, სადაც კონტრაქტორმა მოთიანად ან ნაწილობრივ გამოცვალა მოსახვა. გეომექანიკური დახასიათებისათვის ხელმისაწვდომი იყო ორი უბანი. ამ გამოკვლევის საფუძველზე სარეაბილიტაციო მონაკვეთების გაყოფაზე კლდოვანი მასივი დაკლასიფიცირდა როგორც სუსტი და ძლიერ სუსტი ქანი. ცხრილში 5-3 ნაჩვენებია გაშიშვლებების გეომექანიკური კლასიფიკაციის შედეგები.



ნახაზი 5-ჰ: ვერტიკალური შახტა №1 და №2 შორის უბნის გეოლოგიური კრილი

ადგილმდებარეობა	ქანი/გრუნტი	გეომექანიკური კლასიფიკაცია (RMR)		Q	
		რეიტინგი	ქანის კლასი	რეიტინგი	ქანის კლასი
პკ 28+05; პკ 28+20÷28+28	არგილიტი	23	IV სუსტი ქანი	0.24	E ძლიერ სუსტი ქანი
პკ 32+70÷32+75	არგილიტი	23	IV სუსტი ქანი	0.24	E ძლიერ სუსტი ქანი
პკ 32+75÷32+82	არგილიტი	24	IV სუსტი ქანი	0.15	E ძლიერ სუსტი ქანი
პკ 32+82÷32+87	კონგლომერატი	-	-	-	-

ცხრილი 5-3: ქანების მასივის კლასიფიკაცია

- 2016 წელს ჩატარებული ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აგრეთვე შესრულდა ორი მონაკვეთის (პკ 34+40÷38+80 და პკ 64+00÷74+00) გამოკვლევა სხვადასხვა არამრღვევი ტექნიკისა და გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით;
- 2018 წელს გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი პკ 26+58 - 26+63 კედლის მოსახვის ჩამონგრევის უკან გეოლოგიური ფორმაცია წარმოდგენილი იყო ნაცრისფერი ქვიშაქვებით, მუქი ნაცრისფერი-შავი თიხაფიქლების შუაშრეებით (ნახაზი 5-4);
- არსებული ინფორმაციის მიხედვით, გამყვანი გვირაბის პრობლემატური მონაკვეთი განლაგებულია ზედა ეოცენის არგილიტურ ქანებში და წარმოდგენილია არგილიტომაგვარი თიხაფიქლებით თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეებით და ქვიშაქვებით თიხების უმნიშვნელო შუაშრეებით. გარდა ამისა, ამ მონაკვეთმა განიცადა ინტენსიური ტექტონიკური გარდაქმნა და შეივსო მცირე ზომის ნაოჭებით და მსხვრევის ზონებით.



ფოტო 5-1: ქვიშაქვები ფიქლების შუაშრეებით

6 გვირაბის ინსპექტირება 2024 წელს

6.1 გვირაბის ინსპექტირების მიზნები

გვირაბის ინსპექტირების მიზანია გვირაბში არსებული დაზიანებების და დეფექტების გამოვლენა, რომლის საფუძველზეც შედგომში დაიგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოები, გვირაბის და პესის სტაბილური და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად უნდა განხორციელდეს შემდეგი ამოცანები:

- გვირაბის ვიზუალური დათვალიერება მთელ სიგრძეზე (პკ 00+00÷88+30);
- გვირაბში არსებული დაზიანებების აღწერა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების პრიორიტეტების დადგენა;
- შესრულებული სამუშაოების შესახებ საბოლოო ანგარიშის მომზადება

6.2 ზოგადი მიმოხილვა

გამყვანი გვირაბის ზოგადი მდგომარეობის ვიზუალური შეფასება განხორციელდა 2024 წლის ივნისში ფაზა 7 გვირაბის გაჩერების ფარგლებში. ინსპექტირებაში მონაწილეობა მიიღო შპს გრუნერ შტუკი კავკასიის შემდეგმა ჯგუფმა:

1. თემური პიტავა – გეოლოგი;
2. გიორგი ჯავახიშვილი – ინჟინერ-მშენებელი;
3. გიორგი სულაბერიძე - ინჟინერ-მშენებელი;
4. ნოდარ მამალაძე - ინჟინერ-მშენებელი.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში გვირაბი დაცლილი იყო ინსპექტირების მიზნით 2024 წლის 21 ნოემბერს და 2025 წლის 4 თებერვალს. ინსპექტირება განხორციელდა გვირაბის წინასწარ შერჩეულ მონაკვეთებზე. ინსპექტირების ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 6.0 საათი.

ინსპექტირების მიზანი იყო გვირაბის მოსახვაზე არსებული დაზიანებების მდგომარეობის შემოწმება და 2024 წელს დადგენილი პრიორიტეტების დაზუსტება. ინსპექტირებისას გამოვლენილი და არსებული დეფექტების მდებარეობა დადგინდა გვირაბში არსებული პიკეტაჟის აღმნიშვნელი ფირფიტების მიხედვით (განლაგებულია ყოველ 50 მ).

ინსპექტირება შესრულდა გვირაბში არსებული სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას სრულყოფილად განისაზღვროს ბეტონის მოსახვის დეგრადაციის მდგომარეობა:

მოკლე ვადაში და რთულ სამუშაო პირობებში კერძოდ:

- ცუდი განათება – დაბალი ხილვადობა;
- შეტბორილი ძირი სხვადასხვა მონაკვეთზე – არ გვაძლევს დაზიანების ხარისხის შეფასების შესაძლებლობას;
- ლამით დაფარული კედლები – არ გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ მცირე ზომის ეროზიებს და ბზარებს;
- გამოყოფილი დრო არ არის საკმარისი დაზიანებების დეტალური შეფასებისათვის.
- პიკეტაჟის აღმნიშვნელი ფირფიტები დაფარულია ტალახით.

აქედან გამომდინარე, ინსპექტირების დროს გამოვლენილი დეფექტების ზომები და მოცულობები წინასწარია, თუმცა ამ ეტაპზე გვაძლევს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხასიათის და მოცულობის დადგენის საშუალებას. საბოლოო მოცულობები დადგინდება ფაქტიურად შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიხედვით.

6.3 გვირაბის კვლევები, ინსპექტირება და აღმოჩენილი დაზიანებების ტიპები

ბოლო წლებში შესრულებული სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ახორციელებს ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის მრავალეტაპიან გადაუდებელ სარეაბილიტაციო პროგრამას სტაბილური საექსპლუატაციო რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით.

2024 წელს ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის ფაზა 7 რეაბილიტაციის ფარგლებში შესრულდა ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის ბეტონის მოსახვის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა [20].


გვირაბის არსებული დეგრადაციის დონე, რომელიც გამოვლინდა ინსპექტირების დროს ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთებზე აღწერილია ქვემოთ და დანართში 1.

6.3.1 დაზიანების ტიპები

გვირაბის ინსპექტირების დროს გამოვლინდა სხვადასხვა სახის დაზიანებები, რომლების ზოგადი აღწერილობა მოცემულია ქვემოთ თავებში. ძირითადად გვირაბში დაფიქსირებულია შემდეგი სახის დაზიანებები:

1. დაზიანებული ფსკერი (ძირის უსწორმასწორობა უკუქანობით და ეროზიამ);
2. ბეტონის ეროზირებული მოსახვა, რომელიც მოიცავს შემდეგს:
 - ნიჟარებს;
 - ეროზიებს მოსახვის ნაკერების გასწვრივ;
3. ბზარები გვირაბის მოსახვაზე:
 - მცირე ბზარები;
 - ბზარები სიცარიელებთან ერთად მოსახვის უკან;
 - ბზარები წყლის შემოდინებით;
4. სიცარიელები გვირაბის თაღში და მოსახვის უკან;
5. თაღის დაზიანებები;
6. წყლების შემოდინება;
7. სამშენებლო ნარჩენები.

ნახაზი 6-1 გვიჩვენებს გვირაბის შემოწმებულ მონაკვეთზე ზემოთაღნიშნული დაზიანებების ადგილმდებარეობებს. გვირაბში გამოვლენილი დეფექტების დეტალური აღწერა მოცემულია დანართში 1 მათი ადგილმდებარეობის მიხედვით (პიკეტაჟი).



ნახაზი 6-1: გვირაბის ინსპექტირების დროს გამოვლენილი დაზიანებების მდგომარეობა

6.3.2 გვირაბის ფსკერის დაზიანებები

წინამდებარე თავში აღწერილია ინსპექტირებების დროს გვირაბის ძირზე აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის დაზიანებები. დიდი ზომის დაზიანებები და ხარვეზები წარმოდგენილია ჩაღრმავებებით, რომლებიც შეტბორილია წყლით. მცირე და საშუალო ზომის დაზიანებები და ხარვეზები გამოვლენილია ეროზირებული მონაკვეთების სახით.

აღნიშნული დაზიანებების და ხარვეზების დეტალური აღწერები მოცემულია ქვემოთ.

6.3.2.1 დიდი ზომის დაზიანება (შეტბორილი უბნები)

ვიზუალური ინსპექტირების დროს გამოვლინდა, რომ გვირაბის ძირზე შეიმჩნევა მნიშვნელოვანი უსწორმასწორობები, ფსკერის უკუქანობი, რის გამოც გვირაბის ძირზე წარმოშენილია ღრმულები. აღნიშნული დეფექტი/ხარვეზი შეიძლება აიხსნას შემდეგი მოსაზრებით: გვირაბის გაყვანის დროს მშენებლობის დროს სიზუსტის არარსებობით, აგრეთვე მოულოდნელი დეფორმაციების მოვლენებით, რომლებიც გამოწვეულია რთული გეოლოგიური პირობებით.

ძირის ქანობი ხშირად იცვლება და ხასიათდება როგორც მკვეთრი დახრით, ასევე ხშირ შემთხვევაში უარყოფით მაჩვენებლითაც. ეს ბუნებრივია იწვევს უკუქანობიანი მონაკვეთების დატბორვას. განსაკუთრებით გვირაბის ძირის უკუქანობები შეიმჩნევა შემდეგ მონაკვეთებზე:

- პკ 14+00-დან ÷ პკ 15+00-მდე;
- პკ 24+50-დან ÷ პკ 24+70-მდე;
- პკ 28+22-დან ÷ პკ 28+36-მდე;
- პკ 28+80-დან ÷ პკ 29+20-მდე;
- პკ 31+70-დან ÷ პკ 32+70-მდე.

უსწორმასწორო ძირის ფართობი ზოგადად მერყეობს 10-15 მ² ფარგლებში, თუმცა ზემოთაღნიშნულ პიკეტებზე აღწევს დაახლოებით 70-150 მ². აღნიშნულ საპროექტო მონაკვეთზე ზოგ ადგილებში, როდესაც გვირაბში ფილტრაციული წყლების რაოდენობა არ აღემატება დაახლოებით 400 ლ/წმ (გვირაბი დაცლილ მდგომარეობაშია), ზოგიერთ უბანზე წყლის სიღრმე აღწევს 1.5 მ. თავისთავად გვირაბის ეს მდგომარეობა პიდრავლიკური თვალსაზრისით არახელსაყრელია და საგრძნობლად ამცირებს მის გამტარუნარიანობას.

კრიტიკული უბანი დაფიქსირდა პკ 24+50÷24+70, სადაც წყლის სიღრმე აღწევს 1.5 მ. ასეთი დიდი შეტბორვის გამო შეუძლებელია აღნიშნული მონაკვეთის გავლა და ძირის დაზიანების ხასიათის და ზომების (სიღრმე, სიგრძე, ფართობი) გამოკვლევა. დეფექტების მონაცემები მიახლოებითია და შესაძლებელია დაზუსტდეს თითოეული მონაკვეთის წყლის მოცულობის შემთხვევაში. დანართში 1.1 მოცემულია გვირაბის ძირზე შემჩნეული დიდი ზომის ხარვეზები.

გარდა ამისა, სხვა უბანზე შეტბორვა იწვება პკ 30+15-დან და გრძელდება პკ 32+35-მდე. პკ 31+00-მდე წყლის დონე მერყეობს 35-50 სმ, ხოლო პკ 31+00-დან პკ 32+35-მდე კი წყლის დონე მერყეობს 80-100 სმ ფარგლებში. აღნიშნულ მონაკვეთზე შეტბორვები გამოწვეულია მშენებლობის დროს უსწორმასწორო ქანობის მოწყობით. პკ 32+35-დან პკ 32+70-მდე ძირზე აღინიშნება ხარვეზები, როგორებიცაა ღრმა ეროზია და უსწორმასწორო ძირი (საფეხურისებრი).



ფოტო 6-1: წყლის დონე გვირაბში მერყეობს 0.4 მ-დან 1.5 მ-მდე დაცლილ მდგომარეობაში (პკ 24+65 მარცხენა ფოტო; პკ 32+00 მარჯვენა ფოტო)

6.3.2.2 მცირე ზომის დეფექტები (ეროზირებული უბნები)


ვინაიდან ობიექტის ინსპექტირების დროს გვირაბში ფილტრაციული წყლის მთლიანად შეწყვეტის უზრუნველყოფა არ ხერხდება და ფსკერის ზოგიერთი უბნები დატბორილია, ფსკერზე არსებული დაზიანებების ფაქტიური გაერცვლების შეფასება რთულია. ქვემოთ დიაგრამაზე 6-1 და დანართში 1.2 წარმოდგენილია გვირაბის ძირზე აღრიცხული შედარებით მცირე დაზიანებული (ეროზირებული) უბნები.

როგორც წარმოდგენილია დიაგრამაზე 6-1, გვირაბში გვირაბის ფსკერის დაზიანებები აღინიშნება გვირაბის მთელი სიგრძის გასწვრივ. განსაკუთრებით, ლოკალური ეროზიები შეიმჩნევა შემდეგ მონაკვეთებზე: პკ 08+00÷30+00, პკ 54+00÷59+00, პკ 62+50÷67+00 და 76+00÷85+00.

ინსპექტირების დროს გამოვლინდა გვირაბის ძირის დაზიანების ერთი ტიპი, კერძოდ:

- მონაკვეთები, სადაც გამოხატულია ბეტონის ეროზია და შეიმჩნევა გაშიშვლებული ლითონის ნაწილები და არმატურის ბადე.

ვიზუალური შეფასებით აღნიშნული დაზიანებები შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულად. გვირაბის ძირზე არსებული ეროზირებული უბნების ფართობები მერყეობს 2-15 მ², ზოგ ადგილებში კი აღწევს 20-30 მ², იშვიათად 60-70 მ². დაზიანებების საორიენტაციო მონაცემები მოცემულია დანართში 1.2.



დიაგრამა 6-1: გვირაბის პკ 00+40 85+00 მონაკვეთზე ძირის დაზიანებული უბნების ინტენსივობა.

6.3.3 გვირაბის მოსახვის ეროზია (ნიჟარები და სიცარიელები) კედლებზე

გვირაბის კედლებზე ბევრგან შეიმჩნევა ბეტონის ზედაპირის დაზიანებები: ეროზია და სიცარიელე. ეროზირებული ბეტონის ზედაპირის ზომები მერყეობს 0.5÷5 მ² ფარგლებში, 50-100 მმ სიღრმით. ზოგ შემთხვევაში დაზიანება იმდენად ღრმაა (40-80 სმ), რომ ჩანს მოსახვის მიღმა არსებული ქანები/გრუნტი.

ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა ძირითადად სამი ტიპის დაზიანება:

- მცირედ ეროზირებული უბნები;
- ეროზირებული მოსახვა გაშიშვლებული არმატურით;
- ღრმა ეროზია სადაც მოსახვის მიღმა ჩანს გაშიშვლებული ქანები.

ქვემოთ დიაგრამაზე 6-2 და დანართებში 1.3 და 1.4 წარმოდგენილია გვირაბის მოსახვაზე არსებული ეროზირებული უბნები. როგორც დიაგრამიდან 6-2 ჩანს, ასეთი ტიპის დაზიანებების ფართობი მერყეობს 2-6 მ² და 4-10 მ² და ძირითადად განთავსებულია სამ მონაკვეთზე, კერძოდ:


- პკ 28+00-დან ÷ პკ 29+00-მდე;
- პკ 46+00-დან ÷ პკ 55+00-მდე;
- პკ 64+00-დან ÷ პკ 79+00-მდე.

გვირაბის კედლების მოსახვაზე არსებული ლამის ფენა (ზოგ ადგილებში ლამის ფენა არის სქელი) და ცუდი ხილვადობა არ იძლევა დაზიანების ზომების ზუსტად გაზომვის საშუალებას. ამიტომ, ინსპექტირების დროს დადგენილი დაზიანების ფართობები უნდა ჩაითვალოს როგორც სავარაუდო და უნდა დაზუსტდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.

ზოგადად, ვიზუალური შეფასებით ეროზიების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ გვირაბის ბეტონის მოსახვა ხანგრძლივი დროის მანძილზე განიცდის გამორეცხვას და დაშლის პროცესს. აღნიშნული ხარვეზები უმთავრესად შეიმჩნევა ისეთ ადგილებში, სადაც გვირაბის ძირის ქანობის ცვალებადობის ან მოსახვევების გამო იცვლება წყლის ნაკადის მოძრაობის სიჩქარე და წარმოიშობა გარკვეული “ტალღები”, რაც იწვევს ბეტონის ზედაპირის გარეცხვას.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეროზირებული უბნების გავრცელება და რაოდენობა ძირითადად გამოწვეულია ბეტონის მოსახვის დაბალი სიმტკიცით, რომელიც ვერ უძლებს წყლის ნაკადით აბრაზიის მოვლენას. ბეტონის მოსახვის ხარისხის და სიმტკიცის დეტალური მონაცემები მოცემულია ანგარიშში “სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა” (ფაზა 5, პარაგრაფი 6.14, 2019 წ.).

როგორც კვლევების შედეგების ანალიზი მიუთითებს ბეტონის მოსახვის ეროზია განიცდის პროგრესირებას და საჭიროა ამ პროცესების სისტემატიური მონიტორინგი და შესაბამისი რეაბილიტაცია.



დიაგრამა 6-2: გვირაბის პკ 00+40 85+00 მონაკვეთზე ეროზირებული უბნების ინტენსივობა გვირაბის კედლებზე



ფოტო 6-2: გვირაბში არსებული ეროზირებული უბნები: ღრმად ეროზირებული მონაკვეთი, პკ 47+15 (30 სმ-მდე)

6.3.4 დაზიანებები გვირაბის თაღში

ინსპექტირების დროს გვირაბის თაღში აღრიცხულია სხვადასხვა სახის დაზიანებები (ეროზია, სიცარიელე (ხვრელი) ბეტონის მოსახვაში და სიცარიელე მოსახვის უკან). გვირაბის თაღში გარკვეულ ადგილებში დაფიქსირდა სიცარიელებები, რომელთა უმრავლესობის უკან გრუნტის გაშიშვლება ჩანს. ასეთ ადგილებში ბეტონის ფენა გაშიშვლებული ადგილის გარშემო შესამჩნევად თხელია და სავარაუდოდ შეადგენს 5 სმ ან ნაკლებს. გვირაბის თაღში დაფიქსირებული ბეტონის მოსახვის თხელი ფენა, სავარაუდოდ გამოწვეულია მშენებლობის პერიოდში ბეტონირების სამუშაოების და ასევე ცემენტაციის სამუშაოების არასათანადოდ შესრულებით ან შემავსებელი ცემენტაციის საერთოდ შეუსრულებლობით. ასეთ უბნებზე, თხელი ბეტონის მოსახვა ვერ შეაჩერებს გარემომცველ ქანებს სუსტი ვიბრაციის შემთხვევაშიც კი და ჩამოინგრევა გვირაბში.

მნიშვნელოვანი სიცარიელებები შეინიშნება თაღში ბეტონის მოსახვის უკან, რომელთა მოცულობის დადგენა შეუძლებელია მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით. ასეთ მონაკვეთებზე მოსახვის მდგომარეობა არის კრიტიკული, ამიტომ გვირაბში თაღის მოსახვის რეაბილიტაცია და სიცარიელებების შევსება უკიდურესად აუცილებელია, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ გვირაბის მდგრადობის რისკს. გვირაბის თაღში არსებული სიცარიელების მაგალითები სადემონსტრაციოდ წარმოდგენილია ფოტოზე 6-3.

ქვემოთ დიაგრამაზე 6-3 და დანართებში 1.5 და 1.6 წარმოდგენილია გვირაბში პკ 00+40÷78+00 მონაკვეთზე თაღში დაფიქსირებული სიცარიელებების და ეროზიების ლოკაციები.


როგორც ნაჩვენებია დიაგრამაზე 6-3 თაღში არსებული დაზიანებები ძირითადად კონცენტრირებულია შემდეგ მონაკვეთებზე:

- პკ 53+00-დან ÷ პკ 54+00-მდე;
- პკ 55+00-დან ÷ პკ 56+00-მდე;
- პკ 58+00-დან ÷ პკ 58+50-მდე;
- პკ 70+00-დან ÷ პკ 74+00-მდე.

ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ბეტონის მოსახვის უკან სიცარიელების სიღრმე არის 10-20 სმ, ზოგ ადგილებში კი სიღრმე აღწევს 40-50 სმ. რადგან მოცემული ფართობები და სიღრმეები მიახლოებითია, სიცარიელებების ზუსტი მოცულობები უნდა დადგინდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, ინსპექტირებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარის და სათანადო დროის პირობებში (ხარაჩო, განათება, უსაფრთხოება).



ფოტო 6-3: გვირაბის თაღში არსებული სიცარიელებები: პკ 53+90 მარცხენივ, პკ 55+65 მარჯვნივ



დიაგრამა 6-3: თაღში არსებული დაზიანებების ინტენსივობა პკ 00+40÷79+00 მონაკვეთზე

6.3.5 ბზარები ბეტონის მოსახვაზე

გვირაბის კედლებზე და თაღში სხვადასხვა ადგილას შეიმჩნევა ბზარები, რომელთა სიგრძე ძირითადად მერყეობს 5-10 მ ფარგლებში. ზოგ შემთხვევაში კი აღწევს 20-30 მ. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ბზარების უმეტესობა არ არის გახსნილი და ხასიათდება კალციტის გამონაჟონით. ქვემოთ დიაგრამაზე 6-4 და დანართში 1.7 წარმოდგენილია გვირაბში პკ 0+00-დან პკ 35+00-მდე მონაკვეთზე ბზარების ლოკაციები.

როგორც ნახვენებია დიაგრამაზე 6-4 ბზარები ძირითადად კონცენტრირებულია შემდეგ მონაკვეთებზე:


- პკ 0+00-დან ÷ პკ 4+00-მდე;
- პკ 28+00-დან ÷ პკ 32+00-მდე.

არსებული მდგომარეობის საფუძველზე ამ ეტაპზე რეკომენდირებულია ბზარებზე განხორციელდეს დაკვირვებები შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის თებერვალში, გვირაბის ინსპექტირების დროს, პკ 1+65 აღმოჩენილი იყო დაახლოებით 40 სმ სიგრძის განივი ბზარი. აღნიშნული ბზარი დაფიქსირდა გვირაბის თაღზე, 2019 წელს შესრულებული საყრდენი კოჭების და ტორკრეტბეტონის მოწყობის ადგილზე.




ფოტო 6-4: გვირაბის მოსახეზე არსებული ბზარი (პკ 57+45 მარცხენი და პკ 60+44 მარჯვნივ)



დიაგრამა 6-4: ბზარების ინტენსივობა გვირაბის პკ 0+00÷60+00 მონაკვეთზე

2017 წელს, პკ 24+50 დაფიქსირდა გვირაბის მოსახვის მარცხენა კედლის ზედა ნაწილში ტორკრეტის მოსახეზე 5 მეტრის სიგრძის ბზარი (ფოტო 6-5). აღნიშნულ მონაკვეთზე გვირაბის მოსახვის ქვედა ნაწილის შემოწმება შეუძლებელია მაღალი წყლის დონის გამო (1.5 მეტრამდე). 2021-2024 წელს შესრულებული ინსპექტირების დროს შეიმჩნევა დაზიანებული უბნის ფართობის ზრდა, რაც მიუთითებს ბზარის პროგრესირებაზე.



ფოტო 6-5: ბზარი გვირაბის მოსახვის თაღზე, პკ 24+50

2024 წლის ნოემბერში ჩატარებული ინსპექტირების დროს, პკ 25+10 (ფოტო 6-6) და პკ 26+65 (ფოტო 6-7) დაფიქსირდა გვირაბის მოსახვის მარცხენა კედლის ქვედა ნაწილში ტორკრეტის მოსახვაზე 2-3 მეტრის სიგრძის ახალი ბზარები. პკ 26+65 გვირაბის მოსახვის ქვედა ნაწილის შემოწმება შეუძლებელია მაღალი წყლის დონის გამო (0.5 მეტრამდე).

2024 წლის ივნისში ჩატარდა ბზარების მკურნალობა და ბეტონის მოსახვის აღდგენა პკ 25+03÷25+48 მონაკვეთზე, ხოლო 2018 და 2024 წლებში პკ 26+60 ადგილი ჰქონდა გვირაბის მოსახვის გამონგრევას (ორივე კედელზე).

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ აღნიშნულ უბანზე გასულ პერიოდში შესრულდა მოსახვის რეაბილიტაცია და უკანასკნელი ინსპექტირების დროს კვლავ დაფიქსირდა მცირე ზომის ახალი ბზარები, რეკომენდირებულია გვირაბის ამ მონაკვეთზე არსებულ ბზარებზე განხორციელდეს დაკვირვება, ხოლო შემდგომში დაიგეგმოს გვირაბის მოსახვის გაძლიერების ღონისძიებები.



ფოტო 6-6: ბზარი გვირაბის მოსახვის კედელზე, პკ 25+10




ფოტო 6-7: ბზარი გვირაბის მოსახვის კედელზე, პკ 26+65

6.3.6 წყლის შემოღინება

ინსპექტირების დროს გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთზე თაღიდან და კედლებიდან შეიმჩნევა წყლის ინტენსიური შემოღინებები. აღნიშნული უბნების არსებობა სავარაუდოდ მიუთითებს არამდგრადი და წყალგამტარი ქანების არსებობაზე მოსახვის უკან, რომლებიც მუდმივად განიცდიან ეროზიას გრუნტის წყლის ზემოქმედებით და შეიძლება ჩამოიშალონ.

ქვემოთ დიაგრამაზე 6-5 და დანართში 1.8 მოცემულია წყლის შემოდინების ინტენსიურობა გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთებზე.



დიაგრამა 6-5: წყლის შემოდინების ინტენსიურობა გვირაბში.

გრუნტის წყლების ხანგრძლივი ზემოქმედება და მუდმივი გამორეცხვა, ასუსტებს გვირაბის მდგრადობას და ეს მოვლენა დროთა განმავლობაში შესაძლოა გახდეს გვირაბის თაღის ან კედლის ჩამოშლის მიზეზი.



ფოტო 6-7: წყლის შემოდინება გვირაბის მოსახვიდან (პკ 60+40÷60+55, პკ 60+80÷60+95)

6.3.7 გვირაბის მოსახვაში და ძირზე დარჩენილი უცხო სხეულები

სამშენებლო ნარჩენები არის დაგროვებული გვირაბში მშენებლობის დასრულების დროიდან. გვირაბის ძირზე რამოდენიმე ადგილას არის ძველი, მშენებლობის დროიდან შემორჩენილი ლიანდაგები, სხვადასხვა ლითონის ნაშევრები და გრუნტის ან ბეტონის

ნარჩენები, რაც მნიშვნელოვან ართულებს რეაბილიტაციის პერიოდში გვირაბში სამშენებლო მექანიზმების გადაადგილებას და მუშაობას.

ამასთან, გვირაბის მოსახვაში რამდენიმე მონაკვეთზე შესამჩნევია მშენებლობის დროიდან დარჩენილი ლითონის და ხის ყალიბების ნარჩენები. ასევე, თაღში ბევრ ადგილას არის გამოშვებული მიღები, რომლებიც სავარაუდოდ განკუთვნილი იყვნენ ცემენტაციის სამუშაოებისათვის.

სამშენებლო დროიდან დარჩენილი დიდი ზომის ნარჩენების ჩამონათვალი მოცემულია დანართში 1.9. ყველა ასეთი უცხო სხეული გატანილ უნდა იქნას გვირაბიდან. საპროექტო მონაკვეთზე სამშენებლო ნარჩენები არ იყო აღმოჩენილი, ამიტომ ამ ტიპის სამუშაოები არ შედის წინამდებარე სამუშაოთა მოცულობაში.



ფოტო 6-8: სამშენებლო ნარჩენები (მიღები), პკ 34+80÷35+00

7 რეაბილიტაციის კონცეფცია

7.1 ზოგადი მიმოხილვა

ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბში 2014-2024 წლებში ჩატარებულმა საკონტროლო და საკვლევმა ბურღვებმა, ლაბორატორიულმა და გეოფიზიკურმა კვლევებმა, ასევე ინსპექტირების დროს მოპოვებულმა მონაცემებმა უჩვენა, რომ გვირაბში არსებული მდგომარეობა არაერთგვაროვანია: ბეტონის მოსახვის სისქე ზოგიერთ ადგილას საერთოდ არ არის და შიშველი გრუნტი დაფარულია მხოლოდ ტორკრეტის თხელი ფენით (2÷3სმ), ზოგიერთ ადგილას კი მოსახვის სისქე აღწევდა 1.1 მეტრს.

გვირაბის მოსახვის ბეტონი არის ძალიან გამოფიტული, დაბალი მარკის და ზოგიერთ ადგილას გამორეცხილი. გვირაბის მოსახვის ბეტონის (კერნების) ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბეტონის სიმტკიცე ზოგიერთ უბანზე აღწევს 1÷5 მპა, ხოლო ზოგ ადგილზე ნიშუშები ადგილზე დაიმსხვრა, რაც მიუთითებს ბეტონის მოსახვის ძალიან დაბალ სიმტკიცეზე.

გარდა ამისა, გვირაბის მოსახვა საკმაოდ არის დეგრადირებული, რაზეც მიუთითებს ყველა ის ზემოთ აღწერილი დაზიანება, რომლებიც აღმოჩენილია გვირაბის მთელ სიგრძეზე.

ზემოთ მოცემული კვლევითი სამუშაოების და ინსპექტირების დროს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი მიუთითებს გვირაბის ზოგიერთი მონაკვეთის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე და ბეტონის მოსახვის დაბალ ხარისხზე. აქედან გამომდინარე, გამოვლენილი მნიშვნელოვანი დეფექტების აღმოფხვრა წარმოადგენს

სასწრაფო და გადაუდებელ ღონისძიებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოულოდნელი და გამოუსწორებელი შედეგები.

გვირაბის ჰიდრაულიკური გამტარუნარიანობის და ექსპლუატაციის საიმედოობის გაზრდის მიზნით შტუკის მიერ გასულ პერიოდში განხორციელდა კვლევები, რომლის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. თუმცა საექსპლუატაციო შეზღუდვების გამო არ არის საკმარისი მასშტაბური სამუშაოების განსახორციელებლად და ამიტომ გასულ წლებში (2014 – 2024) განხორციელდა გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები მხოლოდ ცალკეულ, პრიორიტეტულად მიჩნეულ უბნებზე.

მიუხედავად ამისა, ადრე რეკომენდირებული სხვა სამუშაოები კვლავ პრიორიტეტულია და მათი განხორციელება უნდა დაიგეგმოს უახლოეს პერიოდში.

2025 წელს დაგეგმილი, ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის 30 დღიანი გაჩერების პერიოდში (სავარაუდოდ მაისი-ივნისის პერიოდში) ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების კონცეფცია მომზადდა გვირაბის არსებულ მდგომარეობაზე ხელმისაწვდომი მონაცემების შეფასების საფუძველზე და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ ეტაპზე პრიორიტეტულად განსაზღვრული სამუშაოების შესრულება.

გასულ პერიოდში შესრულებული კვლევების შედეგების ანალიზის, ინსპექტირების დროს გამოვლენილი დაზიანებების რაოდენობის და გვირაბის რეაბილიტაციის დროს არსებული შეზღუდვების (შეზღუდული მისასვლელი, სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული დრო და ბიუჯეტი) გათვალისწინებით დადგინდა რეაბილიტაციის სამუშაოთა პრიორიტეტები და გვირაბში სარემონტო სამუშაოების შესრულება დაიგეგმა შემდეგ უბნებზე: პკ25+10÷34+82, პკ43+50÷43+80, პკ46+00÷60+00, პკ60+70÷61+20 და პკ65+90÷66+50.

წინამდებარე რეაბილიტაციის კონცეფცია გულისხმობს გვირაბში შემდეგი სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების განხორციელებას:

1. გვირაბის მოსახვაზე დაფიქსირებული ბზარების მკურნალობა და დაკვირვება, პკ 25+10÷34+82;
2. გვირაბის დაზიანებული მონაკვეთის დროებითი გამაგრება, პკ 43+58÷43+72 და პკ 60+75÷61+00;
3. სხვადასხვა ტიპის ლოკალური სარეაბილიტაციო სამუშაოები, პკ 46+00÷60+00:
 - თაღში არსებული სიცარიელებების და კედლებზე >10სმ სიღრმის დაზიანებების შევსება ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
 - ბეტონის მოსახვის დაზიანებული ზედაპირების არდგენა სპეციალური სამშენებლო ხსნარით.
4. კვლევითი სამუშაოები პკ 43+50÷43+80 და პკ 60+70÷61+20;
5. გვირაბის ძირის რეაბილიტაცია პკ 65+90÷66+50.

მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური დაზიანებები აღინიშნება გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთებზე, არსებული შეზღუდვებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ორგანიზების თვალსაზრისით ამ ეტაპზე პრიორიტეტად შერჩეული იქნა ზემოთ აღნიშნული მონაკვეთები.

დეტალური ინფორმაცია ამ სამუშაოების შესახებ აღწერილია ქვემოთ თავებში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა კონტრაქტორმა ზუსტად დაგეგმოს სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგია, რათა შეძლოს რეაბილიტაციის

პერიოდში პარალელურ რეჟიმში მუშაობა. ამასთან, კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს პრიორიტეტული სამუშაოების სხვა სამუშაოებზე ადრე განხორციელება.

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ დაზიანებული უბნების რეაბილიტაციის პროექტი მომზადებულია ვიზუალური ინსპექტირების დროს მოპოვებული მასალების საფუძველზე. სამუშაოთა განხორციელების დროს თუ გამოვლინდება განსხვავებული გარემოებები, ვიდრე გათვალისწინებული იყო წინამდებარე პროექტით, კონტრაქტორი მზად უნდა იყოს შესაბამისი სამუშაოების შესასრულებლად კონსულტანტის რეკომენდაციების მიხედვით.

გარდა ამისა, გვირაბის მოსახვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით გვირაბის გახერების დროს შესაძლოა გამოვლინდეს მანამდე უცნობი, გაუთვალისწინებელი გარემოება (შესაძლო დაზიანება), ამიტომ კონტრაქტორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკური რესურსი (მუშახელი, ტექნიკა), რათა უზრუნველყოს დამატებითი სამუშაოს დროული შესრულება კონსულტანტის რეკომენდაციების მიხედვით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას.

გვირაბში სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების და ტექნიკის შეყვანა უნდა განხორციელდეს გამოსასვლელი პორტალიდან, № 1 (ჰესის შენობა) და № 2 შახტების გამოყენებით. შახტა №2-ზე მოწყობილია სატრანსპორტო ლიფტი, რომლის ტვირთამწეობა დაახლოებით 1 ტონაა, ასევე ამ შახტაზე მოწყობილია 5 ტონა ტვირთამწეობის ჯალამბარი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას საჭირო მოწყობილობების მისაწოდებლად. სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს გვირაბში წყლის მიწოდების შეწყვეტა.

გვირაბის პკ $43+50 \div 43+80$ და პკ $60+70 \div 61+20$ სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე უნდა მოეწოს დროებითი ენერგომომარაგების, განათების და წყლის ამოდვრის ან სატუმბო სისტემები. გვირაბის პკ $25+00 \div 34+80$ და პკ $65+90 \div 66+50$ მონაკვეთებზე დაგეგმილი ლოკალურ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ელექტრომომარაგება და წყლის ამოდვრა რეკომენდირებულია განხორციელდეს მობილური ტექნიკური საშუალებების და მოწყობილობების გამოყენებით.

გვირაბის მთელს სიგრძეზე და განსაკუთრებით სარეაბილიტაციო მონაკვეთებში უნდა მოხდეს გვირაბის პიკეტაჟის არსებული მარკირების სისტემის გაწმენდა და უზრუნველყოფილი იქნას მისი ხილვადობა. იმ კვეთებში, სადაც გამოტოვებულია პიკეტაჟის აღნიშვნელი მეტალის ფირფიტები, მოხდეს ხელახალი მარკირება (არსებულის მსგავსად).

7.2 გვირაბის დაზიანებული მოსახვის დროებითი გამაგრება

7.2.1 პკ. $43+58 - 43+72$ და პკ. $60+75 - 61+00$ მონაკვეთზე დაზიანებული კვეთის დროებითი გამაგრება

გასულ პერიოდში განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე გვირაბის პკ $43+58 \div 43+72$ (14 გრძივი მეტრი) და პკ $60+75 \div 61+00$ (25 გრძივი მეტრი) მონაკვეთებზე გამოვლენილია სხვადასხვა სახის დაზიანებები, კერძოდ წყლის შემოდინება დიდი რაოდენობით, ბეტონის მოსახვის ეროზია, მოსახვის უკან სიციარიელებები, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მოსახვის მდგრადობას და სიიმედობას. გარდა ამისა, უცნობია გვირაბის მოსახვის მიღმა არსებული პირობები, კერძოდ სიციარიელების გავრცელება, გარემომცველი ქანების გეოტექნიკური მახასიათებლები და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ამ მონაკვეთებზე გეოტექნიკური კვლევითი სამუშაოების განხორციელება და გვირაბის მოსახვის დროებითი გამაგრების მოწყობა. აღნიშნული უზრუნველყოფს მოკლევადიან პერიოდში გვირაბის მოსახვის მდრადობის გაუმჯობესებას და შემდგომში გვირაბის მოსახვის მუდმივი სქემით აღდგენის პროექტისათვის საჭირო მონაცემების მოპოვებას.

2022 წელს ჩატარებული გეოფიზიკური კვლევების მიხედვით [17], სარეაბილიტაციო უბნებზე გვირაბის მოსახვა წარმოადგენს საშუალოდ 40 სმ სისქის მონოლითურ რკინა-ბეტონს, რომლიც მზიდი ელემენტები მოწყობილია ლითონის კოჭებით, ბიჯით 1.2 მ. გვირაბის უკუთაღი კი წარმოადგენს ლითონის ბადით არმირებულ 40 სმ სისქის მონოლითურ რკინა-ბეტონს.



ფოტო 7-1: წელის შემოღინება თალიდან პკ 43+58 ÷ 43+72



ფოტო 7-2: წელის შემოღინება კედლიდან, პკ 60+75 ÷ 61+00


გვირაბის მოსახვის დროებითი გამაგრების ძირითადი პრინციპები და სქემა აღწერილია ქვემოთ, თავში 7.2.2. ინფორმაცია გეოტექნიკური კვლევების შესახებ მოცემულია თავში 7.6.

7.2.2 ზოგადი

გვირაბის მოსახვის დროებითი სამაგრის მოწყობა წარმოადგენს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს გვირაბის მდგრადობის უზრუნველყოფას და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციის შენარჩუნებას მოკლევადიან პერიოდში (ერთი ან ორი წელი) მოსახვის მუდმივი სამაგრის მოწყობამდე.

დროებითი სამაგრი წარმოადგენს არმირებულ ტორკრეტ-ბეტონის მოსახვას, რომელიც მოეწყობა არსებული გვირაბის მოსახვაზე. გვირაბის დაზიანებული კვეთის დროებითი გამაგრების სქემა მოცემულია ნახაზებზე 7.1, E2402541.TT.004 და E2402541.TT.005. ქვემოთ მოცემულია გვირაბის მოსახვის დროებითი გამაგრების მოწყობის ძირითადი პრინციპები.

1. **უსაფრთხოება:** სარეაბილიტაციო სამუშაოთა უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით დროებითი სამაგრის მოწყობა უნდა შესრულდეს ეტაპობრივად, არაუმეტეს 8-10 მ სიგრძის მონაკვეთებზე. დროებითი სამაგრის მოწყობა უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციებისა და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.
2. **ლოკალური ქიმიური ცემენტაცია:** თითოეული მონაკვეთზე, მშრალი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, უნდა განხორციელდეს სამშენებლო ნაკერებიდან და ბზარებიდან ყველა შესაძლო წყლის შემოდინების კერების ლოკალური ცემენტაცია ორკომპონენტიანი პოლიურეთანის ფისის გამოყენებით.
3. **ფილტრაციული წყლის ორგანიზებული გამოყვანა (დრენაჟის მოწყობა):** დროებითი სამაგრის მოწყობის პროცესში ფილტრაციული წყლის ორგანიზებული გამოყვანის მიზნით გვირაბის ორივე მხარეს, ძირიდან დაახლოებით 3.5მ სიმაღლეზე 5 მ ინტერვალით მოეწყოს 120მმ დიამეტრის სადრენაჟო ბურღილები 1.0 მ სიგრძის პლასტმასის მილებით.
4. **არმატურის სამაგრის მოწყობა:** არმატურის სამაგრი შედგება ლითონის ბადისა და საყრდენი კოჭებისგან (თაღოვანი სამაგრი). არმატურის ბადე არსებულ მოსახვაზე ჩამაგრებულია 30სმ სიგრძის Ø14 ქვიშა-ცემენტის ანკერებით. თაღოვანი სამაგრი წარმოადგენს 3 ცალი 25მმ დიამეტრის არმატურის ღეროებს, რომელიც შეკრულია ცალულებით. თაღოვანი სამაგრის ჩაანკერებისთვის გათვალისწინებულია 1მ სიგრძის Ø14 ქვიშა-ცემენტის ანკერები. არმატურის ღეროების ერთმანეთზე გადაბმა უნდა მოხდეს 1.5 მ პირგადადებით.
5. **ტორკრეტბეტონის ფენის დატანა:** არმატურის თაღოვანი სამაგრები და ბადე უნდა დაიფაროს 15 სმ სისქის ტორკრეტბეტონით. პირველ რიგში ეწყობა საშუალოდ 3სმ სისქის შემასწორებელი ფენა, რომლის დანიშნულებაა არმატურის სამაგრის მოსაწყობად გლუვი ზედაპირის და დამცავი ფენის უზრუნველყოფა. არმატურის სამაგრის მოწყობის შემდეგ ტორკრეტბეტონი დაიტანება 6 სმ სისქის ორ ფენად.



ნახაზი 7-1: გვირაბის დაზიანებული კვეთის დროებითი გამაგრების სქემა (ნახაზი E2402541.TT.004 და E2402541.TT.005)

წინამდებარე პროექტით გვირაბის დაზიანებული მონაკვეთების დროებითი გამაგრების სამუშაოების მდებარეობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში 7-1.

საპროექტო მონაკვეთი	უბნის სიგრძე, მ
პკ 43+58÷43+72	14
პკ 60+75÷61+00	25

ცხრილი 7-1: დროებითი გამაგრების უბნების ადგილმდებარეობა

შენიშვნა:


- 1) გეოტექნიკური კვლევები (თავი 7.6) უნდა შესრულდეს დროებითი მოსახვის სამუშაოების დაწყებამდე.
- 2) გეოტექნიკური კვლევების საფუძველზე დაზუსტდება თაღოვანი სამაგრის ანკერების ეფექტური სიგრძე.
- 3) ბურღვითი სამუშაოების, ასევე ანკერების მონტაჟის დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა შეამოწმოს ბეტონის მოსახვაში არსებული მზიდი ელემენტების (ლითონის კოჭები) მდებარეობა.
- 4) გვირაბის პკ60+75÷61+00 მონაკვეთზე არსებობს გვირაბის მშენებლობის პერიოდში დატოვებული სამი სადრენაჟო ღიობი და მილი, რომლებიც განლაგებულია გვირაბის მარცხენა კედელზე ძირიდან 1.3 და 2.7 მ სიმაღლეზე. დროებითი გამაგრების სამუშაოების წარმოებისას, გვირაბის მოსახვის უკან არსებული გარემოს ფაქტიური მდგომარეობის შესახებ მწირი ინფორმაციის პირობებში, აუცილებელია შენარჩუნებული იქნას მათი ფუნქციონირება.

7.3 გვირაბის ფსკერის რეაბილიტაცია


სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტით გათვალისწინებულია კკ 65+90÷66+50 უბანზე გვირაბის ეროზირებული ფსკერის რეაბილიტაცია.

მონოლითური რკინაბეტონის ფილით გვირაბის ფსკერის სარეაბილიტაციო უბნებზე უნდა მოხდეს ზედაპირზე არსებული ეროზირებული ბეტონის მოხსნა გვირაბის მზიდი კონსტრუქციების დაზიანების გარეშე, ანკერების მოწყობა, არმატურის ბადის მონტაჟი და მინიმუმ 16 სმ სისქის ფილის დაბეტონება. გვირაბის შუა ნაწილში ეწყობა ღარი, რომლის დანიშნულებაცაა დაცლილ მდგომარეობაში გვირაბის ფსკერზე წყლის ნაკადის შეუფერხებელი გატარება. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გვირაბის ფსკერზე მოწყობილი ფილის და ღარის დადებითი ქანობი.

პკ65+90 - პკ66+50 - გვირაბის შესაქმნად არშირებული ფილის მოწყობა
ტიპოური განივი ჰრილი
მ 1:25



პკ6030 ჰრილი A-A
მ 1:25



ნახაზი 7-2: ვარცლისებური კვეთის გვირაბის ძირზე არშირებული ფილის მოწყობა (ნახაზი E2402541.TT.006)

7.4 წყლის შემოდინების აღმოფხვრა პოლიურეთანის ფისით

ჟინვალჰესის გამყვან გვირაბში ჩატარებული ინსპექტირების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად საპროექტო უბნებზე გამოვლინდა წყლის შემოდინების მრავალი კერა, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანია გვირაბის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის.

საპროექტო მონაკვეთზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემოდინებების შეჩერება სხვა დაგეგმილი სამუშაოებისათვის (დროებითი გამაგრების მოწყობა) მშრალი გარემოს შექმნის მიზნით.

ლოკალური შემოდინებები, გვირაბის ბეტონის მოსახვაზე არსებული ბზარები და ნაკერები, უნდა იქნას დალუქული წყლის მნიშვნელოვანი შემოდინების შესაჩერებლად, მაშინაც კი, როცა შემოდინება დაწვევითია.

წყლის შემოდინების შესაჩერებლად შემოთავაზებულია სწრაფად გამყარებადი ორი კომპონენტის პოლიურეთანული ფისის (PUR) გამოყენება, განსაკუთრებით, თუ წყალი იმყოფება წნევის ქვეშ.

ლოკალიზებული ცემენტაცია პოლიურეთანული ფისის ფართო გამოყენებით უნდა შესრულდეს საკონტაქტო ცემენტაციამდე, საცემენტაციო ხსნარის ნაკერებიდან, ბზარებიდან ან მიღებიდან დაკარგვის რისკების შემცირების მიზნით.

შენიშვნა: $3\text{კ}43+50 \div 3\text{კ}43+80$ და $3\text{კ}60+70 \div 3\text{კ}61+20$ უბნებზე ჩასატარებელი კვლევითი სამუშაოები წინ უნდა უსწრებდეს იმავე უბანზე ქიმიური ცემენტაციის სამუშაოებს.

7.4.1 სწრაფად გამყარებადი პოლიურეთანის ფისის ინექციები

სწრაფად გამყარებადი პოლიურეთანის ფისის ინექციების გამოყენების პროცედურა არის შემდეგი: ორი კომპონენტი (პოლიოლი და იზოციანატი) ამოიტუმბება ორმაგ კომპონენტის ტუმბოთი, მოცულობითი შეფარდებით 1:1; ისინი წინასწარ ზედმიწევნით შერეულია სტატიკური ამრევის საშუალებით, გაბურღულ ჭაბურღილში დამონტაჟებული პაკერით შრეებში დაჭირხენამდე. წყალთან კონტაქტში შესვლის დროს, ფისი აქაფდება.

მას შემდეგ, რაც ხსნარი აღარ შეხვდება წყალს, ის გამყარდება გაფუების გარეშე, უფორებო სახის მასალამდე. ამგვარად, შეიქმნება წყალგაუმტარი შრე, რომელიც თავის მხრივ შემოფარგლულია აქაფებული პოლიურეთანის კონსოლიდირებული ზონით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილტრაციის წყაროს მუდმივი დალუქვის და კონსოლიდაციის მისაღწევად საკმარისია მარტო ერთი ციკლის გამოყენება ერთი მასალით.

შესაბამისად, ფილტრაციის წყაროს დალუქვა არის საბოლოო და ხანგრძლივმოქმედი, როგორც დადასტურებულია ამ მეთოდის შესაბამისად ჩატარებული სარემონტო სამუშაოებით.

ეს მეთოდი გამოიყენება არა მხოლოდ წყლის შემოდინების დროს შახტებში ან სამშენებლო ქვაბულში (მაგალითად ფურცლოვანი ან ნარანდიანი ხიმიწი), აგრეთვე შახტების და გვირაბების რეაბილიტაციისთვის. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გამოიყენებული იქნას აგურის კედლის მკურნალობის დროს.

როგორც წესი, ამ მეთოდის ეფექტურობა ლიმიტირებულია კლდოვანი ფორმაციების მოკლე მანძილით, ორი კომპონენტის სწრაფი რეაქციის სისტემები არ იძლევა ფისის ხანგრძლივი დროით ინექციის საშუალებას, ამიტომ დაჭირხნები ძირითად შემთხვევებში მაქსიმუმ 5-8 მ რადიუსით.



ფოტო 7-3: კომპონენტი A, კომპონენტი B და ტუმბო

Reaction Data:

	without contact to water		with contact to water (1 % relative to mix)		with contact to water (2 % relative to mix)		Test Procedure
	10 °C	15 °C	10 °C	15 °C	10 °C	15 °C	
Starting temperature	10 °C	15 °C	10 °C	15 °C	10 °C	15 °C	
Start of foaming	-	-	50 s ± 10 s	40 s ± 10 s	55 s ± 10 s	40 s ± 10 s	MCT PV 10-301
End of foaming/Setting time	45 s ± 5 s	35 s ± 5 s	1 min 20 s ± 20 s	60 s ± 20 s	1 min 25 s ± 20 s	1 min 10 s ± 20 s	MCT PV 10-301
Foaming factor	1.0 – 1.3	1.0 – 1.3	3 – 8	3 – 8	3 – 15	3 – 15	MCT PV 10-301

ცხრილი 7-2: პოლიურეთანის ფისის რეაქციის მონაცემები

Material Data:

		Component A	Component B	Norm
Density at 25 °C	kg/m ³	1010 ± 30	1230 ± 30	DIN 12791
Colour		honey	dark brown	
Flash point	°C	> 150	> 150	DIN 53213
Viscosity at 25 °C	mPa*s	200 ± 50	200 ± 50	ISO 3219
Viscosity at 15 °C	mPa*s	430 ± 100	550 ± 100	ISO 3219
Viscosity at 10 °C	mPa*s	640 ± 150	920 ± 150	ISO 3219
Surface tension (20 °C)	mN/m	36	48	EN 14210

ცხრილი 7-3: პოლიურეთანის ფისის მასალის მონაცემები

Mechanical Data:

		Norm	Expertise
Compression strength (unfoamed)	80 ± 10 MPa	ISO 604	
Upsetting at break	10 ± 1.0 %	ISO 604	
Compression strength (foam factor 1.7)	20 ± 5 MPa	ISO 604	
Compression strength (foam factor 2.1)	14 ± 4 MPa	ISO 604	
Upsetting at break	10 ± 1.0 %	ISO 604	
Tensile strength (unfoamed)	50 ± 10 MPa	ISO 527	
Elongation at break (unfoamed)	2.3 ± 0.5 %	ISO 527	
Adhesive strength (dry surface, 30 °C, 80 % rel. h.)	> 6,5 MPa after 1 h	DMT-Method	1
dyn. E-Modulus (unfoamed)	approx. 2500 MPa	EN 14146	4
dyn. E-Modulus (foam factor 3)	approx. 200 MPa	EN 14146	4
Creep (2 MPa load, 40 d; unfoamed)	0.1 %	DIN 4093	5
Creep (2 MPa load, 40 d; foam factor 1.7)	0.2 %	DIN 4093	5
Creep (2 MPa load, 40 d; foam factor 2.1)	0.3 %	DIN 4093	5
Shore Hardness	D 78 ± 5	ISO 7619-1	

ცხრილი 7-4: პოლიურეთანის ფისის მექანიკური მონაცემები

წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული წყლის შემოდინების აღმოფხვრის სამუშაოების ჩატარების მდებარეობა და რაოდენობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში 7-4.

საპროექტო მონაკვეთი	წყლის შემოდინების წერტილების რაოდენობა
პკ 43+66÷44+00	5
პკ 60+75÷61+00	8

ცხრილი 7-5: წყლის შემოდინების ადგილმდებარეობა და რაოდენობა

7.5 ბეტონის ეროზირებული მოსახვის შეკეთება და სიცარიელების შევსება მოსახვის უკან

ბეტონის ზედაპირის დაზიანების შესახებ ინფორმაცია აღწერილია თავებში 6.3.3 და 6.3.4. წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული ბეტონის ეროზირებული მოსახვის აღდგენითი სამუშაოების მდებარეობის ადგილები მოცემულია დანართებში 1.3 და 1.4. გვირაბის ბეტონის მოსახვაზე (თალი და კედლები) ფიქსირდება სხვადასხვა ხასიათის და ზომის ეროზიები (ფოტო 7-2, 7-3 და 7-4).

ეს დაზიანებები გავლენას ახდენენ არა მარტო მოსახვის სათანადო ქცევაზე, არამედ ეჭვქვეშ აყენებს სიცარიელების სისტემატიური ცემენტაციის ეფექტურობის საკითხს.

ამიტომ ეს დაზიანებები უნდა დაიფაროს სპეციალური მშრალი ან თხევადი სამშენებლო სსნარით, ბეტონის ჯდენის საწინააღმდეგო დანამატის დამატებით.



ფოტო 7-4: კედლის ეროზია არმატურის გაშიშვლებით



ფოტო 7-5: კედლის ეროზია (ხილრძე 5-10 სმ)



ფოტო 7-6: დიდი ზომის ეროზია კედელზე



ფოტო 7-7: სიცარიელე გვირაბის თაღში

გვირაბის კედელზე და თაღზე არსებული ეროზირებული ზედაპირის შეკეთება უნდა განხორციელდეს ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით შემდეგი ღონისძიებების გათვალისწინებით:

- 1) მცირე ზომის (ზომით 0-10 მ²) ეროზიის სიღრმე <10სმ: დაზიანების აღმოსაფრქველად გამოყენებული უნდა იქნას მშრალი სამშენებლო ხსნარის ერთი ან ორი ფენა;
- 2) დიდი ზომის (ზომით >10 მ²) ეროზიის სიღრმე 10-30სმ: დაზიანების აღმოსაფრქველად გამოყენებული უნდა იქნა ტორკრეტ-ბეტონი;
- 3) ეროზია, რომელიც ხასიათდება დიდი ზომის ღრმულებით და ზოგ შემთხვევაში მოსახვის უკან სიცარიელებით: ამ შემთხვევაში ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას რამდენიმე ღონისძიების კომბინაცია ან რომელიმე ერთ-ერთი.

მოეწეოს ყალიბი, ბურღილი დაჭირხენისთვის და შეივსოს დაზიანება თხევადი თვითტკეპნადი ბეტონით (SCC) ან თხევადი სამშენებლო ხსნარით (ქვიშა-ცემენტის ხსნარი (ქ/ც 3), წ/ც 0.5-1.0). როგორც ალტერნატივა, დიდი სიცარიელების შესავსებად ასევე რეკომენდირებულია გაფართოებადი ქაფების გამოყენება.

სიცარიელის შევსების შემდეგ არსებული მდგომარეობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში გვირაბის დაზიანებული ზედაპირი შესაძლოა აღდგეს სპეციალური მასალით (MapeigROUT T60), რომელიც წარმატებით იქნა გამოყენებული ჟინვალჰესის გვირაბში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვირაბის მოსახვის უკან არსებული სიცარიელების ზომები და ხასიათი ამ ეტაპზე უცნობია. მათი დადგენა შეიძლება ან სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს საკონტროლო ბურღილების ან მომდევნო პერიოდში გეოფიზიკური კვლევების მეშვეობით. ამიტომ, ამ ეტაპზე განხორციელდება გვირაბის მოსახვის ნაწილობრივი აღდგენის სამუშაოები. კვლევების შედეგებით მიღებული მონაცემების მიხედვით რეაბილიტაციის შემდგომ ეტაპებზე შესაძლოა განხორციელდეს თაღში დარჩენილი სიცარიელების შევსება შესაბამისი მასალების გამოყენებით. კერძოდ, თაღში არსებული დიდი ზომის სიცარიელების შევსება რეკომენდირებული მოხდეს გაფართოებადი ქიმიური მასალის (პოლიურეთანის ქაფები) გამოყენებით. ამ მასალის გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ გვირაბის თაღზე დიდი მასის დაწოლა ბეტონის ან ქვიშა-ცემენტის ნარევის სახით.

7.5.1 ზოგადი რეკომენდაციები

ბეტონის ეროზირებული ზედაპირის აღსადგენად გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ტექნიკური სპეციფიკაციებით განსაზღვრული ღონისძიებები, მათ შორის:

- სარეაბილიტაციო ბეტონის ზედაპირის წინასწარ გაწმენდა მაღალი წნევის წყლის ჭავლის გამოყენებით;
- არსებული არმატურის დაფარვა ანტიკოროზიული საღებავით (არმატურის დიამეტრი 8 მმ, ბიჯი 100 მმ);
- ეროზირებული ზედაპირის დაფარვა შესაბამისი სამშენებლო ხსნარით ან მასალით მოსახვის ზედაპირამდე.

7.5.2 10სმ-ზე ნაკლები სიღრმის ეროზირებული ზედაპირის რეაბილიტაცია

სამშენებლო ხსნარის აღწერა

ბეტონის ზედაპირის აღსადგენად რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას სპეციალური პროდუქტი MAPEGROUT T60, რომლის აღწერა მოცემულია შემდეგ გვერდებზე (www.mapei.com), ან მსგავსი პროდუქტი, წარმოებული სხვა ბრენდის მიერ (მაგალითად www.sika.com).

MAPEGROUT T60 (ან მსგავსი პროდუქტი) წარმოადგენს სპეციფიკურ მშრალ სამშენებლო ხსნარს, რომელიც გამოიყენება დეგრადირებული ბეტონის და რკინაბეტონის სამკურნალოდ.

MAPEGROUT T60 წარმოადგენს ერთ კომპონენტიან წინასწარ შერეულ ტიქსოტროპულ ხსნარს, ცემენტის საფუძველზე და შედგება სულფატმედეგი ჰიდრაულიკური შემკვრელისგან, სინტეტური პოლიკრილინირიდის ბოჭკოებისგან, ორგანული ანტიკოროზიული დანამატისგან, შერჩეული აგრეგატებისგან და სპეციალური წყალშემკავებელი მინარევებით, რომელიც დამუშავებული იქნა MAPEI-ის კვლევით ლაბორატორიაში.

იმ შემთხვევაში თუ MAPEGROUT T60 მზადდება მარტო წყლის დამატებით, ის უნდა იყოს შეკვრადი ტენიან პირობებში, იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროდუქტის მასხასიათებლების მთლიანად და სწორად ფართო განვითარება. თუმცა, ობიექტზე ასეთი პირობების შექმნის გარანტია არ არსებობს.

ამგვარად, MAPEGROUT T60 -ის ექსპანსიური თვისებების (როცა ის შრება ჰაერზე), უზრუნველსაყოფად საჭიროა 0.25% Mapecure SRA სპეციალური მინარევის დამატება. ამ უკანასკნელს აქვს თვისება შეამციროს ორივე, პლასტიკური და ჰიდრაულიკური კუმშვა და ხსნარში დამატებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდი წარმატებით.

Mapecure SRA მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკეთესი სამშენებლო ხსნარით მკურნალობის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, როცა შერეულია Mapegrout T60-თან, ეს შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულ ტექნოლოგიურ სისტემად. მინარევს აქვს შესაძლებლობა შეანელოს წყლის აორთქლება და ხელი შეუწყოს პოდროტაციის რეაქციას.

Mapecure SRA იქცევა როგორც შიდა სამკურნალო აგენტი და მისი ურთიერთწყალობით ზოგიერთ ძირითად კომპონენტთან, რაც ქმნის ცემენტს, ესმარება კუმშვის შემცირებაში 20% და 50% პროდუქტის სტანდარტული მნიშვნელობებთან შედარებით, მინარევების გარეშე. რა თქმა უნდა ეს გამოიწვევს დაბზარვის ფენომენის რისკის შემცირებას.

აგრეთვე Mapegrout T60 შეიძლება გამოყენებულ იქნას Mapecure SRA-ის დამატების გარეშე, როცა გარემო იძლევა ოპტიმალური მკურნალობის პირობებს.

რეკომენდაციები

- არ გამოიყენოთ Mapegrout T60 გლუვ ზედაპირზე: გააუხეშეთ ზედაპირი და საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ არმატურა;
- არ გამოიყენოთ ცემენტი ან მინარევები Mapegrout T60-თან ერთად;
- ნუ დაღვრით Mapegrout T60 ფორმებში (გამოიყენეთ Mapegrout Hi-Flow);
- არ გამოიყენოთ Mapegrout T60 ანკერების დროს (გამოიყენეთ Mapefill ან Mapefill R).

გამოყენება

ზედაპირის მომზადება

- მოაცილდეს უხარისხო და ფხვიერი ბეტონი ზედაპირის საღ, ძლიერ და გაუხეშებულ ნაწილამდე. ნებისმიერი ადრე ჩატარებული სამუშაო, რომელიც აღარ უზრუნველყოფს სტაბილურობას უნდა მოშორდეს;
- სარემონტოდ მომზადებული ბეტონის ზედაპირს უნდა ჰქონდეს არათანაბარი ტექსტურა, არანაკლებ 5 მმ-ანი ხორკლიანობით;
- დაამუშავდეს ბეტონი და ანკერები მაღალი წნევის წყლის ჭავლით, სანამ ისინი არ გასუფთავდებიან ცემენტისგან, ზეთისგან, ცხიმისგან, ლაქისგან ან ძველი საღებავისგან, ჟანგისგან;
- გაუღინთოს ზედაპირი წყლით;
- სანამ დაიწყება Mapegrout T60-ით ბეტონის ზედაპირის შეკეთება, დაელოდეთ სანამ ჭარბი წყალი აორთქლდება. თავისუფალი წყლის მოშორების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ შეკუმშული ჰაერი.

სამშენებლო ხსნარის მომზადება

- გამოსაყენებლად მოთხოვნილი კონსისტენციის მისაღებად საჭირო რაოდენობის წყალი ჩაასხით ამრევში;
- ყოველ 25 კგ ტომარაზე გამოყენებული წყლის ოდენობა დაახლოებით შეადგენს 4.1-4.3;
- ხსნარი დაახლოებით 4.2-4.4;
- ამრევში ნელნელა დაემატოს Mapegrout T60 წყალში, უწყვეტ ნაკადად;
- თუ საჭიროებს, შერევის ფაზის ბოლოში დაამატეთ Mapecure SRA, ხსნარის წონის 25% დოზით (0.25კგ Mapegrout T60-ის ყოველ 100კგ);
- მოურიეთ ერთი ორი წუთის განმავლობაში, შემდეგ შეამოწმეთ თუ ხსნარი კარგად არის არეული. ამრევის ძირიდან და კედლებიდან ჩამოფხიკეთ დარჩენილი ფხვნილი. ისევ აურიეთ ორი სამი წუთის განმავლობაში;
- საჭირო რაოდენობის მიხედვით, შეიძლება იქნას გამოყენებული ამრევი ან სხვა ბრუნვადი მოწყობილობა. მოურიეთ დაბალი სიჩქარით, რათა ავიცილოთ ჰაერის მოხვედრა;

- მოერიდეთ ხელით მორევას, თუ არ არის აუცილებელი. იმ შემთხვევაში თუ საჭიროებს ხელით მორევას, მაშინ მოურიეთ ხსნარის მცირე რაოდენობა არანაკლებ 5-6 წუთის განმავლობაში მანამ, სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვან მასას.

ხსნარის გამოყენება

Mapegrout T60 შეიძლება დაიტანოთ ზედაპირზე სამშენლო ინსტრუმენტებით ვერტიკალურ ზედაპირზე 4სმ სისქის ფენებად, ან ჭერზე 2სმ სისქის ფენებად, ყალიბის გამოყენების გარეშე.

ხსნარი აგრეთვე შეიძლება დაიტანოთ სათანადო დგუშით ან ხრახნის ტიპის ხელსაწყოთი, როგორცაა Turbosol ან Putzmeister. არ გამოიყენოთ უწყვეტი შერევის ტიპის დანადგარი.

მომდევნო Mapegrout T60 ფენების საჭიროების შემთხვევაში, ბოლო ფენა დატოვეთ ხორკლიანი და ზედაპირი დაასველეთ წყლით.

7.5.3 10სმ-ზე მეტი სისქის ეროზირებული ზედაპირის რეაბილიტაცია

იმ შემთხვევაში თუ დაზიანებული მოსახვის სისქე არის 10სმ-ზე მეტი, სამშენებლო ხსნარის გამოყენება, როგორც ზემოთ თავში იყო აღწერილი რეკომენდირებული არ არის. გარდა ამისა, საპროექტო მონაკვეთზე აღინიშნება სხვადასხვა ხასიათის და ზომის დაზიანება, ამიტომ მოსახვის ცალკეული დაზიანების რეაბილიტაციის სქემა შეთანხმებული უნდა იყოს კონსულტანტთან.

მოსახვის ზედაპირის დიდი ფართობის დაზიანების შემთხვევაში რეკომენდირებულია ბეტონის მოსახვის ეროზირებული უბნების რეაბილიტაცია ტორკრეტით შემდეგი სქემის მიხედვით:

- ამოიჭრას არსებული ბეტონი ეროზიის კონტურიდან მინიმუმ 5 სანტიმეტრის დაშორებით ისე, რომ ამოჭრის წიბოებს შორის კუთხე აღემატებოდეს 90⁰-ს და გაიწმინდოს მაღალწნევიანი წყლის ჭავლით;
- ამოჭრის სიღრმე იმ შემთხვევაში თუ არ ჩანს არმატურის გაშიშვლება უნდა იყოს ეროზიის ფსკერიდან მინიმუმ 25 მმ, ხოლო თუ ჩანს - არმატურის შიდა კიდიდან მინიმუმ 50 მმ;
- გაშიშვლებული არმატურის შემთხვევაში მოხდეს მისი კოროზირებული ზედაპირის გაწმენდა ჟანგისგან;
- არმატურა დაიფაროს ანტიკოროზიული საღებავით;
- არსებულ მოსახვაში არმატურის არ არსებობის შემთხვევაში მოეწყოს ერთი ფენა არმატურის ბადე B500B კლასის, 10 მმ დიამეტრით და 150 მმ ბიჯით.

ზოგიერთ შემთხვევაში გვირაბის თაღზე და კედელზე მოსახვის დაზიანება ხასიათდება ეროზიით და მოსახვის მიღმა სიცარიელთ, მაგრამ ამ შემთხვევაში დაზიანებული ბეტონის აღდგენა ტორკრეტის მოსახვით არ ხერხდება (ფოტო 7-3 და 7-4). ამ შემთხვევაში ბეტონის მოსახვაზე უნდა დამაგრდეს ყალიბი დაჭირხვნისთვის საჭირო მილით და სარქველით, რომ შესრულდეს სიცარიელის შევსება ხსნარით. სულ საპროექტო მონაკვეთზე დაფიქსირებულია ასეთი ტიპის 20-მდე დეფექტი. აღნიშნული დაზიანებების შესახებ მონაცემები (მდებარეობა, ზომები) წარმოდგენილია დანართებში 1.4 და 1.5.

აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

ზედაპირის მომზადება

- მოცილდეს უხარისხო და ფხვიერი ბეტონი ზედაპირის საღ, ძლიერ და გაუხეშებულ ნაწილამდე. ნებისმიერი ადრე ჩატარებული სამუშაო, რომელიც აღარ უზრუნველყოფს სტაბილურობას უნდა მოშორდეს;
- სარემონტოდ მომზადებული ბეტონის ზედაპირს უნდა ჰქონდეს არათანაბარი ტექსტურა, არანაკლებ 5 მმ-ანი ხორკლიანობით;
- დამუშავდეს ბეტონი და ანკერები მაღალი წნევის წყლის ჭავლით სანამ ისინი არ გასუფთავდებიან ცემენტისგან, ზეთისგან, ცხიმისგან, ლაქისგან ან ძველი საღებავისგან, ჟანგისგან;
- გაიფლანდოს ზედაპირი წყლით;
- დაელოდეთ სანამ ჭარბი წყალი აორთქლდებოდეს. თავისუფალი წყლის მოშორების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ შეკუმშული ჰაერი;
- არმატურის არარსებობის შემთხვევაში, მოეწოს ერთი ფენა B500B არმატურის ბადე 10მმ დიამეტრის 150X150მმ ბიჯით.

ყალიბის მოწყობა

- ყალიბი დაჭირხენისთვის საჭირო მილით უნდა დამონტაჟდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იქნება მზად ზედაპირი. ყალიბი შეიძლება გამაგრდეს ჭანჭიკებით არსებულ მოსახვაზე;
- დაჭირხენის მილის დიამეტრი არის 1"÷1 1/2" სარქველთან ერთად;
- დარწმუნდით, რომ დაჭირხენის მილი საშუალებას იძლევა ეროზირებული ადგილი შეავსოს 100%;
- საცემენტაციო ხსნარის გაჟონვის შესამცირებლად დაჭირხენის დროს, ყალიბი აღჭურვილი იქნება რეზინის სადებით ან პოლიურეთანის ქაფით, რომლებიც ცემენტაციის დროს შეასრულებენ შემჭიდროების როლს.

ქვიშა-ცემენტის ხსნარის გამოყენება

გვირაბის კედელზე მოსახვის მიღმა სივარცელის ამოივსებად გამოყენებული უნდა იქნას ქვიშა-ცემენტის სტაბილური ხსნარი. ხსნარი ჩაიჭირხნება სივარცელეში ($V/C=0.5-1.0$) 1 ბარი (ატმ) წნევით, ჯდენის/კუმშვის საწინააღმდეგო დანამატით. სივარცელე ითვლება შევსებულად, როცა წნევა გადააჭარბებს 1 ბარს ან ხსნარის ჩაჭირხენა შეფერხდება. იმ შემთხვევაში, თუ სივარცელე არ შეივსო 1.0 მ³ მოცულობის ხსნარით კედლებისთვის და 6.0 მ³ მოცულობის ხსნარით სივარცელეებისთვის თაღში, ცემენტაცია ჩერდება. ცემენტაციის შემდგომი ეტაპის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამკვეთის და კონსულტანტის გადაწყვეტილებით.

წინამდებარე პროექტით დაზიანებული ბეტონის მოსახვის აღმოფხვრის სამუშაოების ჩატარების დეტალები მოცემულია ცხრილში 7-5.

№	საპროექტო მონაკვეთი	დაზიანების ტიპი	ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაო
1	პკ 46+00÷60+00	კედლების ეროზია 0-10სმ კედლის ეროზია >10სმ თაღის ეროზია სივარცელე თაღში	თავი 7.5.2 თავი 7.5.3 თავი 7.5.2 თავი 7.5.3

ცხრილი 7-6: დაზიანებული მოსახვის მდებარეობა

7.6 ბზარების დამუშავება

უკანასკნელი ინსპექტირების შედეგების საფუძველზე, რომელიც მიუთითებს გვირაბის რამდენიმე უბანზე ბზარების განვითარების დინამიკაზე, რეკომენდირებულია განხორციელდეს ბზარების დამუშავება და შემდგომში მათზე ვიზუალური დაკვირვების განხორციელება.


წინამდებარე პროექტში ბზარების დამუშავება და შემდგომში მათზე ვიზუალური დაკვირვების განხორციელება დაგეგმილია გვირაბის პკ 25+10÷34+82 მონაკვეთზე. ამ მონაკვეთზე, კედლებსა და თაღში სხვადასხვა ადგილას შეიმჩნევა ბზარები, რომელთა სიგრძე ძირითადად მერყეობს 5-10 მ ფარგლებში, ამასთან შეინიშნება ბზარების განვითარების გარკვეული დინამიკა.

ბზარის დამუშავებისა და შემდგომი დაკვირვებისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები:

- სარეაბილიტაციო ბეტონის ზედაპირის წინასწარ გაწმენდა/ჩამოწმენდა მაღალი წნევის წყლის ჭავლის გამოყენებით;
- ბზარის ამოვსება Mapegrout T60 სამშენებლო ხსნარით, ან მსგავსი პროდუქტით.

სამუშაოები განხორციელდება ბეტონის მოსახვის ეროზირებული ზედაპირის დამუშავების მოთხოვნების შესაბამისად (თავში 7.5). მცირე ზომის ეროზიის (ბზარის) დაზიანების აღმოსაფრქველად გამოყენებული უნდა იქნას მშრალი სამშენებლო ხსნარის ერთი ან ორი ფენა არაუმეტეს 5 სმ სისქით.

წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული ბზარების დამუშავების სამუშაოების მდებარეობა და სხვა დეტალები მოცემულია ცხრილში 7-6 და დანართში 1.7.

№	საპროექტო მონაკვეთი	დაზიანების ტიპი	ბზარის სიგრძე, მ	
1	პკ 25+10	ხსარი	3	15
2	პკ 25+70	ბზარი	3	240
3	პკ 26+60	ბზარი	2, 3	15, 90-135
4	პკ 26+70	ბზარი	2	135
5	პკ 28+53	ბზარი	6	
6	პკ 29+20	ბზარი	5	
7	პკ 29+27	ბზარი	8	
8	პკ 29+50	ბზარი	4	
9	პკ 29+53	ბზარი	4.2	
10	პკ 29+54	ბზარი	5	
11	პკ 29+54	ბზარი	5	
12	პკ 30+07	ბზარი	4.5	
13	პკ 31+50	ბზარი	5	180
14	პკ 31+55	ბზარი	4	180

15	პკ 31+65	ბზარი	3	180
16	პკ 32+05	ბზარი	2.7	135
17	პკ 32+35	ბზარი	3	235
18	პკ 32+42	ბზარი	2	235
19	პკ 32+80	ბზარი	8	135-315
20	პკ 34+70	ბზარი	1	
21	პკ 34+82	ბზარი	18	

ცხრილი 7-7: ბზარების მდებარეობა საპროექტო უბანზე

შენიშვნა: დამუშავებულ ბზარებზე აუცილებელია მოხდეს სისტემატიური დაკვირვება გვირაბის ყოველი ინსპექტირების დროს.

7.7 კვლევითი სამუშაოები

7.7.1 გეოტექნიკური კვლევები

ჟინვალჰესის გამყვანი გვირაბის პკ 43+50÷43+80 და პკ 60+70÷61+20 უბნებზე დაზიანებული მოსახვის მუდმივი სქემით აღდგენის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის მიზნით, რეკომენდირებულია დადგინდეს გვირაბის ამ უბნებზე გარემომცველი ქანების გეოლოგიური და გეოტექნიკური მახასიათებლები, ასევე გვირაბის მოსახვის ბეტონის მახასიათებლები.

გვირაბის აღნიშნულ მონაკვეთებზე გეოტექნიკური კვლევების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია ამ პროექტით გათვალისწინებული დროებითი გამაგრების სამუშაოთა მოცულობის დასაზუსტებლად და შემდგომში მუდმივი გამაგრების ღონისძიებების დასაგეგმად. ამიტომ, გეოტექნიკური კვლევების სათანადოდ შესრულებისათვის კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის და რაოდენობის პერსონალის და ტექნიკის ან ქვე-კონტრაქტორის მობილიზაცია.


გეოლოგიური და გეოტექნიკური პირობების დასადგენად უნდა შესრულდეს ბურღვები კერნის ამოღებით და შემდგომი ლაბორატორიული კვლევებით. ქვემოთ მოცემულია საკვლევი ჭაბურღილების კონფიგურაცია და შესასრულებელი კვლევების ჩამონათვალი:

1. თითოეულ უბანზე/კვეთში გაიბურღოს 4 და 8 (იხილეთ ნახაზი 7-3 და ნახაზი 7-4) ჭაბურღილი კერნის ამოღებით: ერთი ვერტიკალური ჭაბურღილი თაღში (5მ სიღრმის), ერთი ვერტიკალური ჭაბურღილი უკუთაღში (2მ სიღრმის) და ორი სუბ-ჰორიზონტალური ჭაბურღილი მარცხენა და მარჯვენა კედლებში (5მ სიღრმის);
2. ამოღებული კერნის ყუთებში ჩაწეობა და სურათის გადაღება;
3. ყუთებში მოთავსებული კერნების აღწერა გეომექანიკური ინდექსების (RMR და Q) განსაზღვრის მიზნით;
4. ლაბორატორიული ცდები:
 - ბეტონის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა ერთდერზა კუმშვაზე. თითო ნიმუში ბურღილიდან. კვლევა უნდა შესრულდეს მოსახვის ცენტრალურ ნაწილიდან აღებულ ნიმუშზე;
 - კლდოვანი ქანის ნიმუშის პეტროგრაფიული ანალიზი;
 - კლდოვანი ქანის ნიმუშის გამოცდა ერთდერზა კუმშვაზე;
 - ვიზუალური ანალიზის საფუძველზე თიხოვანი მასალის პოტენციური გაჯირჯვების პროცესის დადასტურების შემთხვევაში შესრულდეს ჰუდერ-ამბერგის ცდა;


გვირაბის მოსახვის უკან სიცარიელეს გამოვლენის შემთხვევაში ბურღვა უნდა გრძელდეს საღი ქანის მიღწევის შემდეგ არანაკლებ 3 მ სიღრმემდე კონსულტანტის მითითებების მიხედვით.

ბურღვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ზოგიერთი ბურღილი გამოყენებული უნდა იქნეს სადრენაჟო მილების მოსაწყობად კონსულტანტის ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო დანარჩენი უნდა ამოივსოს.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიღებული შედეგების საფუძველზე კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს გეოტექნიკური კვლევების ანალიზი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი.



ნახაზი 7-3: ჭაბურღილების განლაგება პკ 43+50, 43+55, 43+60, 43+70, 43+75, 43+80, 60+70, 60+75, 61+00, 61+05, 61+10, 61+15, 61+20.



ნახაზი 7-4: ჭაბურღილების განლაგება პკ 43+64, 60+80, 60+90, 60+95.

შენიშვნა: ბურღვითი სამუშაოების, დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა შეამოწმოს ბეტონის მოსახვაში არსებული მზიდი ელემენტების (ლითონის კოჭები) მდებარეობა.

7.7.2 გვირაბის პიკეტაჟის განახლება

პროექტით გათვალისწინებულია გვირაბის პიკეტაჟის მარკირების სისტემის შემოწმება და განახლება, კერძოდ:

- გვირაბის მთელ სიგრძეზე (პკ0+00÷პკ88+30) პიკეტაჟის აღნიშვნელი ლითონის ფირფიტების გარეცხვა წყლით;
- გვირაბის მთელ სიგრძეზე (პკ0+00÷პკ88+30-მდე), იმ ადგილებში, სადაც გამოტოვებულია პიკეტაჟის აღნიშვნელი ლითონის ფირფიტები, მოხდეს ხელახალი მარკირება (ლითონის ფირფიტების დამზადება და მონტაჟი არსებულის ანალოგიურად).

შენიშვნა: გასაახლებელი მარკირების ფირფიტების რაოდენობა უნდა დაზუსტდეს ადგილზე ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.

8 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა კონსულტანთან შესათანხმებლად უნდა წარმოდგინოს სამუშაოთა დეტალური გრაფიკი, სამუშაოთა თანმიმდევრობა და მეთოდოლოგია.

სამუშაოების მსვლელობის და მისი დასრულების შემდეგ კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს დამკვეთს და კონსულტანტს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამუშაოების ყოველდღიური უწყისები;
2. გამოყენებული მასალების სერტიფიკატები და ტექნიკური მონაცემები;
3. საშემსრულებლო ნახაზები, როლებიც შესრულებული იქნება ელექტრონულად (AutoCad და PDF ფორმატი), აღიარებული პრაქტიკის მიხედვით.
4. ჩატარებული გეოტექნიკური კვლევების განმარტებითი ბარათი (ტექნიკური ანგარიში).

9 სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობები და გრაფიკი

9.1 სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღრიცხვა მომზადებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების გაზომვების სტანდარტული მეთოდოლოგიის მე-3 გამოცემის (CESMM3; The Institution of Civil Engineers and The Federation of Civil Engineering Contractors, 1991) რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ცხრილში მოყვანილი რაოდენობები არ არის ზუსტი და შესაძლებელია შეიცვალოს სამუშაოთა შესრულების დროს ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით. მოცემულ ეტაპზე, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მოყვანილი სამუშაოების მოცულობები არის მიახლოებითი (ცხრილი 9-1) და მისი მიზანია ტენდერში პოტენციურ მონაწილეებს მიეცეთ თავიანთი წინადადების წარმოდგენის შესაძლებლობა. ცხრილში 9-1 წარმოდგენილი მოცულობები შეესაბამება პკ25+10÷34+82, პკ43+50÷43+80, პკ46+00÷60+00, პკ60+75÷61+20 და პკ65+90÷66+50 მონაკვეთებზე რეკომენდირებულ სამშენებლო სამუშაოებს.

ტენდერში მონაწილეები ვალდებული არ არიან წაიკითხონ ტექნიკური სპეციფიკაციები და სხვა სატენდერო დოკუმენტაცია, თითოეული პუნქტის მთლიანი მოცულობის მოთხოვნების დასადგენად განიხილონ ნახაზები და სასურველია განახორციელონ სამშენებლო უბნის ვიზიტი, უშუალოდ ტარიფებისა და ფასების შევსების წინ.

შეყვანილი ტარიფები და ფასები უნდა მოიცავდნენ, მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდნენ ჩამონათვალში მოყვანილი შემდეგ პუნქტებზე დანახარჯების ღირებულებებით:

1. პერსონალი და მუშა ხელი;
2. აღჭურვილობა და მოწყობილობა;
3. მასალები და მარაგები;
4. ელექტროენერგია, საწვავი, წყალი და სხვა ენერგომატარებლები;
5. ოპერაციები და ტექნიკური მომსახურება, მათ შორის მასალები და მარაგები;
6. ზოგადი და კონკრეტული ზედნადები ხარჯები;
7. გადასახადები (დღგ-ს გარდა), ვალდებულებები, მოსაკრებელი და ა.შ.;
8. გეოდეზიური, შემოწმების, კონტროლის და გაზომვითი სამუშაოები;
9. ტესტირება, ანალიზი, და მასალები, აღჭურვილობა და პროდუქცია მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის დროს და მშენებლობის შემდგომ;
10. გაუფასურება;
11. ნებისმიერი სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის აღნიშნული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, მაგრამ აუცილებელია კონსტაქტორის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით სამუშაოთა შესრულებისათვის.

ნებისმიერი პუნქტი, რომლის გასწვრივ არ არის შეყვანილი ფასი ან ტარიფი, მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც ჩართული მოცულობათა უწყისის სხვა ფასებში და ტარიფებში.

ნებისმიერი სამუშაოები, რომლებიც ნახსენებია ნებისმიერ ადგილას საკონტრაქტო დოკუმენტებში და პირდაპირ არ არის ჩართული მოცულობათა უწყისში, მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ჩართული მოცულობათა უწყისის სხვა პუნქტების ფასებში და ტარიფებში.

სამშენებლო უბნამდე ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს დამკვეთი, ხოლო კონტრაქტორი ვალდებულია ელექტროენერგიის მიწოდება და სათანადო განათება უზრუნველყოს უშუალოდ სამუშაო უბანზე.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილესთვის მოცულობების პუნქტები არის გაურკვეველი, ტენდერის ჩაბარების წინ მონაწილემ უნდა გაარკვიოს ყველა გაურკვეველი საკითხი დამკვეთთან.

თითოეული პუნქტის ფასის დადგენა უნდა მოხდეს შეყვანილი მოცულობის იმ პუნქტის მიხედვით, როგორც არის დეტალურად აღწერილია ტექნიკურ სფეციფიკაციებში, ნახაზებში ან სხვა სატენდერო დოკუმენტაციაში.

იქ სადაც არსებობს განსხვავება განფასების სვეტში მოცემული საერთო მოცულობებსა და საერთო ფასის სვეტში მოცემული მოცულობებს შორის, უპირატესობა მიენიჭება პირვანდელს და მეორე შესწორდება შესაბამისად.

დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ნებისმიერი სამუშაოს ერთეული ფასის კალკულაცია.

#	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	ჯამური ფასი, ლარი
1	მოხილზაციის და დემოხილზაციის სამუშაოები				
1.1	კონტრაქტორისათვის საჭირო ყველა დროებითი სათავსოს მოწყობა, შენახვა და დემონტაჟი, მათ შორის გვირაბის გასასვლელ პორტალთან მისასვლელი გზის მოწყობა (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაცია; თავი 1).	ჯამური თანხა	1.00		
1.2	გვირაბის სარეაბილიტაციო მონაკვეთის მთელ სიგრძეზე (1500 მ), სამუშაო უბნების ენერგომომარაგებისა და განათების სისტემის მოწყობა, შენახვა და დემონტაჟი; დიზელგენერატორის მოწოდება და ექსპლუატაცია განათებისა და ელექტრომომარაგებისათვის ცალკეულ საპროექტო უბნებზე (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაცია; თავი 2.3)	ჯამური თანხა	1.00		
1.3	გვირაბის სარეაბილიტაციო მონაკვეთის მთელ სიგრძეზე, წყლის სატუმბო სისტემის მოწყობა, შენახვა და დემონტაჟი (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაცია; თავი 2.4)	ჯამური თანხა	1.00		
1.4	მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ხარჯები (სპეცტექნიკის მომსახურება და გვირაბში გადაადგილება, ხარაჩოების მონტაჟი და გადაადგილება, გვირაბის ფსკერის გაწმენდა (ნაწილი 1, ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.2) და დაზიანებული უბნების ხრეშით შევსება, სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობები, მასალები და სხვა.)	ჯამური თანხა	1.00		
2	პკ. 60+75 - 61+00 მონაკვეთზე დაზიანებული კვეთის აღდგენა (L=25მ) (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.2)				
2.1	ლოკალური ცემენტაცია წყლის ფილტრაციის შესაჩერებლად ორკომპონენტური პოლიურეთანის ფისით (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.4)				
2.1.1	ბურღვა ფილტრაციის წყაროს ირგვლივ (25-40 მმ მდე) და ბურღილის მომზადება ინექციისათვის	ბურღ.	120.00		
2.1.2	საინექციო პაკერების მოწოდება და მათი მონტაჟი	ბურღ.	120.00		
2.1.3	ნაპრალების დამუშავება სწრაფშემკვრელი ცემენტით	გ/მ	100.00		
2.1.4	ორკომპონენტური პოლიურეთანის ფისის მოწოდება და ინექცია	ლიტრი	480.00		
2.2	სადრენაჟო მილების ჩადება გვირაბის სამაგრში				
2.2.1	სადრენაჟო მილებისთვის შპურების ბურღვა და გეოტექსტილში გახვეული 120 მმ დიამეტრის პერფორირებული პლასტმასის მილების ჩადება გვირაბის თალში	მ	31.00		
2.3	არმატურის კოჭების მონტაჟი (25 კვეთი)				
2.3.1	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	375.00		
2.3.2	1მ-მდე სიგრძის ბურღილების ბურღვა და Ø14 B500 ცემენტქვიშის ანკერების მოწყობა (L=1m)	ცალი	175.00		
2.3.3	საყრდენი კოჭების არმატურის მონტაჟი (3 Ø25 ბიჯი 100მმ, B500). ცალული (Ø6 B240, ბიჯი 250მმ)	ტ	5.00		
2.4	დაზიანებული კვეთის აღდგენა ტორკრეტ ბეტონით				
2.4.1	0.3მ-მდე სიგრძის ბურღილების ბურღვა და Ø14 B500 ცემენტქვიშის ანკერების მოწყობა (L=0.45მ)	ცალი	442.00		
2.4.2	არმატურის კარკასის მონტაჟი ტორკრეტისთვის (Ø12 B500, ბიჯი 250 მმ)	ტ	2.80		
2.4.3	C-35 კლასის ტორკრეტის მიწოდება გვირაბში; 15 სმ სისქის ტორკრეტბეტონის ფენის მოწყობა; ტორკრეტბეტონის სავლე ტესტირება და ზედაპირის მოსწორება.	მ²	338.00		
3	პკ. 43+58 - 43+72 მონაკვეთზე დაზიანებული კვეთის აღდგენა (L=14მ) (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.2)				
3.1	ლოკალური ცემენტაცია წყლის ფილტრაციის შესაჩერებლად ორკომპონენტური პოლიურეთანის ფისით (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.4)				

3.1.1	ბურღვა ფილტრაციის წყაროს ირგვლივ (25-40 მმ მდე) და ბურღილის მომზადება ინექციისათვის	ბურღ.	50.00		
3.1.2	საინექციო პაკერების მოწოდება და მათი მონტაჟი	ბურღ.	50.00		
3.1.3	ნაპრალების დამუშავება სწრაფშემკვრელი ცემენტით	გ/მ	100.00		
3.1.4	ორკომპონენტური პოლიურეთანის ფისის მოწოდება და ინექცია	ლიტრი	200.00		
3.2	სადრენაჟო მილების ჩადება გვირაბის სამაგრში				
3.2.1	სადრენაჟო მილებისთვის შპურების ბურღვა და გეოტექსტილში გახვეული 120 მმ დიამეტრის პერფორირებული პლასტმასის მილების ჩადება გვირაბის თაღში	მ	19.00		
3.3	არმატურის კოჭების მონტაჟი (10 კვითი)				
3.3.1	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	208.00		
3.3.2	1მ-მდე სიგრძის ბურღილების ბურღვა და Ø14 B500 ცემენტკეციშის ანკერების მოწყობა (L=1m)	ცალი	98.00		
3.3.3	საყრდენი კოჭების არმატურის მონტაჟი (3 Ø25 ბიჯი 100მმ, B500). ცალული (Ø6 B240, ბიჯი 250მმ)	ტ	2.80		
3.4	დაზიანებული კვითის აღდგენა ტორკრეტ ბეტონით				
3.4.1	0.3მ-მდე სიგრძის ბურღილების ბურღვა და Ø14 B500 ცემენტკეციშის ანკერების მოწყობა (L=0.45მ)	ცალი	255.00		
3.4.2	არმატურის კარკასის მონტაჟი ტორკრეტისთვის (Ø12 B500, ბიჯი 250 მმ)	ტ	1.60		
3.4.3	C-35 კლასის ტორკრეტის მიწოდება გვირაბში; 15 სმ სისქის ტორკრეტბეტონის ფენის მოწყობა; ტორკრეტბეტონის სავსე ტესტირება და ზედაპირის მოსწორება.	მ²	189.00		
4	პკ46+00-60+00 მონაკვეთის რეაბილიტაცია				
4.1	ბეტონის მოსახვის ზედაპირის აღდგენა ჯდენის საწინააღმდეგო სპეციალური სამშენებლო ხსნარით 10 სმ სისქემდე, მაქსიმუმ 5 სმ სისქის ფენებით (MAPEI ან Sika ტიპის, იხილე ტექნიკური ანგარიში). მოიცავს ყველა საჭირო მასალის მოწოდებას, მომზადებას და დატანას ადგილზე. (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.5)				
4.1.1	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	308.00		
4.1.2	სამშენებლო ხსნარით (ბეტონის ჯდენის საწინააღმდეგო დანამატით, ალუმინის ფქვილი) დაზიანებული ზედაპირის დაფარვა მაქსიმუმ 5 სმ სისქით.	მ²	280.00		
4.1.3	სამშენებლო ხსნარით დამატებითი ფენის დატანა (მეორე ფენა) 10 სმ-მდე	მ²	60.00		
4.2	10 სმ-ზე მეტი სიღრმის დაზიანებული ადგილების აღდგენა				
4.2.1	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	106.00		
4.2.2	ყალიბების (ლითონის ან ხის) მომზადება შესაბამისი ფორმის და რადიუსის, არსებულ მოსახვაზე დამაგრება (ბოლტებით ან საყრდენებით), მათ შორის მილი და სარქველი, ყველა მასალა და მოწყობილობა სამუშაოთა განხორციელებისათვის	მ²	106.00		
4.2.3	პაკერის დაყენება საცემენტაციო ბურღილებში (41-58 მმ) ერთ-ეტაპიანი ცემენტაციისათვის	ერთ.	49.00		
4.2.4	ცემენტის ნარევისთვის ცემენტის მიწოდება	ტ	12.80		
4.2.5	სუპერპლასტიფიკატორის "SIKA products" მიწოდება	ტ	0.15		
4.2.6	ქვიშის მიწოდება	ტ	39.00		
4.2.7	შემავსებელი ცემენტაცია (ცემენტის ხსნარით) გალერეაში	სთ	31.00		
4.3	გვირაბის თაღში არსებული სივარეულების შევსება საცემენტაციო ხსნარით მაღალი სიმტკიცის ცემენტით. (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.5)				
4.3.1	საკონტროლო ბურღილების ბურღვა ხელის ბურღით (1 მ-მდე სიღრმით)	მ	48.00		

4.3.2	ყალიბების (ლითონის ან ხის) მომზადება შესაბამისი ფორმის და რადიუსის, არსებულ მოსახვაზე დამაგრება (ბოლტებით ან საყრდენებით), მათ შორის მილი და სარქველი, ყველა მასალა და მოწყობილობა სამუშაოთა განხორციელებისათვის	მ²	51.00		
4.3.3	პაკერის დაყენება საცემენტაციო ბურღილებში (41-58 მმ) ერთ-ეტაპიანი ცემენტაციისათვის	ერთ.	16.00		
4.3.4	ცემენტის ნარევისთვის ცემენტის მიწოდება	ტ	25.00		
4.3.5	სუპერპლასტიფიკატორის "SIKA products" მიწოდება	ტ	0.25		
4.3.6	ქვიშის მიწოდება	ტ	75.00		
4.3.7	შემავსებელი ცემენტაცია (ცემენტის ხსნარით) გალერეაში	სთ	60.00		
4.3.8	არმატურის ბადის მონტაჟი (B500B, Ø12 მმ, ბიჯი 250 მმ)	ტ	0.50		
5	პკ25+10 - 34+82 ზზარების დამუშავება (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.6)				
5.1	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა/ჩამოწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	20.00		
5.2	სამშენებლო ხსნარით (ბეტონის ჯდენის საწინააღმდეგო დანამატით, ალუმინის ფქვილი) დაზიანებული ზედაპირის დაფარვა მაქსიმუმ 5 სმ სისქით (ჯამური სიგრძე 100მ).	მ²	10.00		
6	პკ65+90 - პკ66+50 გვირაბის ეროზირებულ ფსკერის რეაბილიტაცია (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.3)				
6.1	ეროზირებულ ფსკერზე რკინაბეტონის ფილის მოწყობა				
6.1.1	პანდუსების (2 ადგილი) მოსაწყობად გვირაბის ფსკერის ამოტეხვა, ტრანსპორტირება გვირაბის გარეთ და გატანა ნაგავსაყარზე	მ³	1.00		
6.1.2	გვირაბის ფსკერის ეროზირებული უბნის გაწმენდა ბეტონის ნარჩენებისგან, ტრანსპორტირება გვირაბის გარეთ და გატანა ნაგავსაყარზე	მ³	3.00		
6.1.3	ბეტონის სარემონტო ზედაპირის გაწმენდა მაღალი წნევის ჭავლით და მოწესრიგება	მ²	310.00		
6.1.4	ყალიბების (ლითონის ან ხის) მომზადება შესაბამისი ფორმის და რადიუსის, არსებულ მოსახვაზე დამაგრება (ბოლტებით ან საყრდენებით), მათ შორის მილი და სარქველი, ყველა მასალა და მოწყობილობა სამუშაოთა განხორციელებისათვის	მ²	21.00		
6.1.5	0.3მ-მდე სიგრძის ბურღილების ბურღვა და Ø14მმ ცემენტქვიშის ანკერების მოწყობა (L=0.45 მ)	ცალი	656.00		
6.1.6	არმატურის მონტაჟი (B500B, Ø12 მმ - ბიჯი 150 მმ, Ø14 მმ - ბიჯი 150 მმ)	ტ	4.20		
6.1.7	C-30/37 (SCC იხილეთ ნაწილი 2, დანართი 1) კლასის ბეტონის (გამაგრების დამაჩქარებელი დანამატით) მიწოდება გვირაბში მირზე რკინაბეტონის მოწყობის და ზედაპირის F3 ტიპამდე მოსწორების ჩათვლით	მ³	51.00		
7	კვლევითი სამუშაოები. (ნაწილი 1 ტექნიკური ანგარიში, პარაგრაფი 7.7)				
7.1	გვირაბის პიკეტაჟის განახლება				
7.1.1	გვირაბის პიკეტაჟის ლითონის ფირფიტების გარეცხვა	ერთ.	1.00		
7.1.2	ოფცია - გამოტოვებულ ადგილებში პიკეტაჟის ლითონის ფირფიტების დამზადება და მონტაჟი (საორიენტაციოდ 40 ცალი, რაოდენობა დაზუსტდება ადგილზე).	ცალი	40.00		
7.2	გეოტექნიკური სამუშაოები				
7.2.1	ბურღვა კერნის ამოღებით ბეტონში და ქანებში (5მ-მდე სიღრმით)	მ	406.00		
7.2.2	ბეტონის ნიმუშების გამოცდა ერთლემბა კუმშვაზე	ერთ.	75.00		
7.2.3	პეტროგრაფიული ანალიზი ქანის ნიმუშებზე	ერთ.	20.00		
7.2.4	Huder-Amberg ცდა (გაჯირჯვების პოტენციალი)	ერთ.	8.00		
7.2.5	წყლის ქიმიური ანალიზი (აგრესიულობა ბეტონის მიმართ, სულფატები და ქლორიდები)	ერთ.	2.00		
7.2.6	მიღებული შედეგების დამუშავება და ტექნიკური ანგარის მომზადება	ერთ.	1.00		

8	ჯამი				
9	დღგ, 18%				
10	სულ				

ცხრილი 9-1: სამუშაოთა ჩამონათვალი და რაოდენობები

შენიშვნა: სარეაბილიტაციო სამუშაოები და სამუშაოების რაოდენობა წინასწარია და დაზუსტდება ფაქტობრივად შესრულებული რაოდენობის მიხედვით.

9.2 სამუშაოების წარმოების ვადები

